საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 22 დეკემბერი. 2016 წ. №239 (8131), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

საყოფაცხოვრებო სატანიზმი, ანუ ნარკომანიის ხიბლი

9

◎ ხელისუფლების საყურადღებოდ!

მიიღეთ მინის კოდექსი და გადაარჩინეთ ქართული მინა!

3

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

485000 ადამიანი იღებს სოციალურ დახმარებას!

2

რის მიხედვით გენიშნებათ ან გიწყდებათ დახმარება?

„REUTERS“-ის ინტერვიუ დიმიტრი ქუმსიშვილთან

8

ნავთობგაზის აქციები – ლონდონში, რკინიგზისა – შანხაიში...

ქარს გასატანებელი სენი

PRIMITIVUS



4

როგორია ქართული პრიმიტივისტული „რუსული პოლიტიკა?“



როგორც მოსალოდნელი იყო, სემეკში ფირფიტა გადააბრუნეს!

6

ძველებურად მომწამვლელი, თან გაძვირებული „სიამოვნება“

დენი და გაზი შეიძლება, გაძვირდეს

ანდრეი კარლოვი რუსეთის ეროვნული გმირი გახდა!

ANკარაში მოკლულ რუს დიპლომატს ანდრეი კარლოვს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭეს. განკარგულებას ხელი პრეზიდენტმა პუტინმა მოაწერა. თურქეთში რუსეთის ელჩს თავს 2 დღის წინ დაესხნენ. მას ზურგიდან ესროლეს. მოკლული დიპლომატის ცხედარი მოსკოვში გუშინ გადაასვენეს. ანდრეი კარლოვს ხვალ დაკრძალავენ.

ელჩის მკვლელი ერდოღანის დაცვაში მუშაობდა!

RUSI დიპლომატის მკვლელი თურქეთის პრეზიდენტს დაჯილდოებული ჰყავს. ამის შესახებ ინტერნეტ-პორტალი ანა-ნიუსი იტყობინება. სააგენტო დაჯილდოების ამსახველ ფოტოსაც აქვეყნებს. გამოცემა ჰარიეტის ინფორმაციით კი მევლუთ მერთ ალთინთაში ერდოღანის დაცვაშიც ირიცხებოდა და მის უსაფრთხოებას იცავდა. 22 წლის ალთინთაშმა დიპლომატს ზურგში ესროლა...

მექსიკაში აფეთქებას 26 ადამიანი ემსხვერპლა

26 ADამიანი დაიღუპა, ათობით კი დაშავდა მექსიკაში ფეირვერკების ბაზრობაზე მომდარი აფეთქებისას. ინციდენტი ქალაქ ტულტეპეკში, „სან პაბლიტოს“ სახელით ცნობილ უმსხვილეს ბაზრობაზე მოხდა. აფეთქების მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია. ინციდენტის ადგილზე ამ დრომდე სამაშველო სამსახურები და კრიმინალისტები მუშაობენ.

იორდანიაში ტერაქტი ისლამურმა სახელმწიფომ მოაწყო

IORდანიის ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. მასშტაბური ტერორისტული აქტი 3 დღის წინათ ქალაქ კარაკში განხორციელდა. თავდასხმას 9 ადამიანი ემსხვერპლა. პოლიციამ მომხდარის შემდეგ ქვეყნის მასშტაბით რეიდები დაიწყო. ერთი-ერთი სპეცოპერაციისას 4 პოლიციელი დაიღუპა.

ტრამპი რუსეთის საფრთხედ არ განიხილავს

SHეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა რუსეთი საფრთხის შემცველი ქვეყნების სიიდან ამოიღო. ამის შესახებ გამოცემა „ფორინ პოლისი“ პენტაგონის ინფორმაციაზე დაყრდნობით იტყობინება. დოკუმენტში მთავარ საფრთხეებად დაჯგუფება ისლამური სახელმწიფო, კიბერთავდასხმები და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება რჩება. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ წინა საარჩევნო კამპანიისას დონალდ ტრამპს არაერთხელ დაუფიქსირებია რუსეთთან ურთიერთობის დალაგების სურვილი.

◎ მკითხველის თხოვნით

485000 ადამიანი იღებს სოციალურ დახმარებას!

რის მიხედვით ენიშნება ან უწყდებათ დახმარება?

სოციალურად დაუცველთა შემწეობის საკითხი საქართველოში არჩევნებიდან არჩევნებამდე აქტუალობას არ კარგავს. ოპოზიცია ხელისუფლებას სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანებისადმი უყურადღებობაში ადანაშაულებს, ხშირად კი, შემწეობების გაცემის კორუფციულ სქემასაც ხატავს, რომლის მიხედვითაც, რიგი პირების მიმართ სოციალური დახმარების გაცემა დაუსაბუთებლად წყდება.

რა ხდება ამ სფეროში და რის მიხედვით ანიჭებს, ან უხსნის სახელმწიფო ადამიანს სოციალურად დაუცველის სტატუსს. „მეტრონომს“ შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსი თამთა გვარამაძე ესაუბრა.

— რის მიხედვით ენიჭებათ მოქალაქეებს სოციალურად დაუცველის სტატუსი და შესაბამისად, შემწეობა?

— მოსახლეობის კეთილდღეობის დონის შეფასების არაპირდაპირი მეთოდი, ანუ ქულების მინიჭების სისტემა 2005 წლიდან დაინერგა. ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია ბოლოს 2015 წელს შეიცვალა. ეს გაეროს ბავშვთა ფონდის უშუალო მონაწილეობით მოხდა და, რა თქმა უნდა, ამ პროცესში ჩვენც ჩართულები ვიყავით. ახალ მეთოდოლოგიაში ძირითადი რაც გაკეთდა არის ის, რომ ხანგრძლივი მოხმარების საგნები, მაგალითად, ტელევიზორი, მაცივარი და ა.შ. ფორმულიდან ამოიღეს. მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო სოციალური აგენტის შეფასებას. აქამდე აგენტს შეეძლო სუბიექტურად განესაზღვრა, სჭირდებოდა თუ არა კონკრეტულ ოჯახს სოციალური დამხარება. ეს სუბიექტური ფაქტორიც ამოღებულ იქნა. დღევანდელი მდგომარეობით ფორმულა ეფუძნება შემოსავლის მომტან ქონებას, ოჯახის წევრების მდგომარეობას (სპეციალური სტატუსი: არის თუ არა ის პენსიონერი, შეზღუდული შესაძლებლობების პირი, არასრულწლოვანი, მარტოხელა დედა და ა.შ.), გათვალისწინებულია არა მხოლოდ ოჯახის შემოსავლები, ან შემოსავლის მომტანი ქონება, არამედ გადასახადები, ხარჯები, ოჯახის წევრების საჭიროებები და სხვა. ამ ყველაფრის ერთობლიობით ფასდება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სარეიტინგო ქულა განისაზღვრება. ახალი მეთოდოლოგიით სისტემა დიფერენცირებულია: ვინც უფრო ღარიბია, ის მეტ დახმარებას იღებს სახელმწიფოსგან.

უფრო კონკრეტულად, ქულების მინიჭება ხდება შემდეგნაირად: სოციალური აგენტი მიდის ოჯახში, სპეციალურ დეკლარაციას ავსებს, რომელიც შეაქვს სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში, პროგრამა კი თავად ითვლის ქულას. მეთოდოლოგია მთავრობის დადგენილებით არის დამტკიცებული.

— ბოლო პერიოდში ოპოზიციის მხრიდან ხშირად ისმის ბრალდება, რომ შემწეობა მრავალ სოციალურად დაუცველს მოეხსნა. ამავდროულად აცხადებთ, რომ კრიტერიუმი შეიცვალა, (მაცივარი, ტელევიზორი ქულებით აღარ ფასდება) რომლის მიხედვითაც ალბათ, უფრო უნდა გაზრდილიყო სოციალურად დაუცველთა რაოდენობა. რატომ ვრცელდება ინფორმაცია შემწეობების შეწყვეტის შესახებ?

— საარსებო შემწეობის მიღება-არმიღების საკითხი ძალიან დინამიური პროცესია. მონაცემთა ბაზაში ხდება ოჯახების შედინება და გამოდინება. არსებობს ვალდებულებები, რომლებიც ამ ოჯახებმა უნდა შეასრულონ. მაგალითად, თუ ოჯახის რომელიმე წევრი საზღვარს გადაკვეთს, ამის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა აცნობოს. ასევე სააგენტო ინფორმირებული უნდა იყოს თუ ოჯახის წევრი გარდაიცვალა, ან მისამართი შეიცვალა და ა.შ. ამ შემთხვევაში ოჯახის ხელახალი შეფასება ხორციელდება. როცა ამბობთ რომ დინამიკა უნდა გაზრდილიყო — რასთან მიმართებაში? ამ ეტაპისთვის ხუთასი ათასამდე პირი იღებს შემწეობას. გააჩნია, რომელი თვეებია შესადარებელი. ის რომ, ოჯახები იცვლებიან, ახალი ოჯახები იპოვებენ დახმარებას და სხვები კარგავენ, იმიტომ, რომ მაგალითად, შემოსავალი გაეზარდათ, ეს ბუნებრივი პროცესია. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაზიდან ოცდაათი ათასი ოჯახი ამოვარდა, როგორც ამბობენ ხოლმე. შესაძლებელია იმ ოცდაათი ათასი ოჯახიდან არიან ადამიანები, რომლებიც სხვა ოჯახში არიან რეგისტრირებულები და მათ ამ კონკრეტულ ოჯახებში დაკარგეს საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება, თორემ სხვა ოჯახებში ისინი დღესაც მიმღებები არიან. ამიტომ, ცალსახად და გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ რაღაც რაოდენობა ოჯახები იღებს შემწეობას, ან კარგავს. სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე არის სტატიტიკა, სადაც ყოველთვიურად იდება ინფორმაცია ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების შესახებ და ასევე, როგორია მათი ასაკობრივ თუ რეგიონალურ ჭრილში განაწილება.

— რამდენად გამჭვირვალეა სააგენტოს მუშაობა? მაგალითად, თუ ოჯახი მიიჩნევს, რომ უსამართლოდ მოუმატეს ქულები, ან შეცდომა მოხდა, თუ შეუძლია მიიღოს პასუხები, რატომ ვერ დაუმტკიცდა შემწეობა ?

— ყველა ცვლადს თავისი წონა აქვს, ამიტომ სააგენტოს გაუჭირდება იმის თქმა, მაღალ ქულაზე გავლენა რამ მოახდინა.

იხ. 5 გვ.

ინფრასტრუქტურა რადიოაქტიური ნარჩენების უსაფრთხოდ შენახვისთვის



პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილესთან მაია ბითაძესთან ერთად გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ შვედეთის ელჩი, ევროკავშირის მისიის და შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები, რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სტრატეგიის დამტკიცების და მასში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

თხუთმეტწლიანი სტრატეგია შვედეთის მარეგულირებელი ორგანოს დახმარებით შემუშავდა მიმდინარე წელს და მისი მიღება იგეგმება უახლოეს მომავალში. სტრატეგიის ძირითად მიზნებს წარმოადგენს რადიოაქტიური ნარჩენების ობიექტების ერთ ლოკაციაზე განთავსება, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის დონის გაზრდა, რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავება და მათი უსაფრთხო შენახვა.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა მთავრობის მიერ სტრატეგიის მიღების შემდგომ, პირველ ეტაპზე გამოყოს 1.200 000 ევროს ოდენობით გრანტი სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საქართველოში არსებული რადიოაქტიური ნარჩენების და ინფრასტრუქტურის ანალიზი, მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელი მოინახულა

20 დეკემბერს საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფი **ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმირ მაკეი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფელ ხურვალეთს ეწვია.** ვლადიმირ მაკეი ადგილზე გაეცნო რუსეთის საოკუპაციო ჯარის მიერ მავთულხლართების და სხვა ხელონური ბარიერების აღმართვის შედეგად შექმნილ რთულ ჰუმანიტარულ ვითარებას. ბელარუსის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ასევე შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას და მათი პრობლემების შესახებ მოისმინა.

„მნიშვნელოვანი იყო, რომ გავცნობოდი შექმნილ ვითარებას. არ ვისურვებდი არც ჩემი ქვეყნის და არც თქვენი ქვეყნის მიწაზე ისეთი ბარიერების დანახვას, რომლებიც ადამიანებს აბრკოლებს, მოინახულონ ახლობლები, დაეხმარონ დაავადებულ ნათესავებს, გადაარჩინონ ადამიანები ან იცხოვრონ ჩვეულებრივად. ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ჩვენს რეგიონებში სუფევდეს მშვიდობა და სტაბილურობა“, — აღნიშნა ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

2017 წლის თანამშრომლობა მინისტრთა დონეზე გაფორმდა

თავდაცვის **სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო განათლების, მედიცინისა და სამხედრო პოლიციის კუთხით გამოცდილების გაზიარება ის ძირითადი მიმართულებებია, რაზეც საქართველოსა და სომხეთის თავდაცვის სამინისტროები მომავალ წელს ერთმანეთთან ითანამშრომლობენ. საქართველოსა და სომხეთს შორის 2017 წლის ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა საქართველოს თავდაცვის უწყებაში მოაწერეს.**

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია სომეხ კოლეგას ვიგენ სარგსიანს ორდღიანი ვიზიტით მასპინძლობდა. სომხეთის თავდაცვის მინისტრის დახვედრის ოფიციალური ცერემონიალი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ორივე ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნების შესრულების ფონზე გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგაც მინისტრები ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. დელეგაციებს შორის მინისტრების მონაწილეობით გაფართოებული შეხვედრა გაიმართა. მინისტრებმა თავდაცვის სფეროში ორმხრივ თანამშრომლობაზე იმსჯელეს და იმედი გამოთქვეს, რომ მომავალ წელს ქვეყნებს შორის სამხედრო სფეროში ურთიერთობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება.

თბოელექტროსადგურებისთვის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფები გაიზარდა

2017 წლის **პირველი იანვრიდან თბოელექტროსადგურებისთვის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფები გაიზარდა,** — გადაწყვეტილება სემეკ-მა დღევანდელ სხდომაზე მიიღო.

სემეკის გადაწყვეტილებით, „გარდაბნის თბოელექტროსადგურისთვის“ დღგ-ს გარეშე 2016 წლის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის ზედა ზღვარი იყო 1კვტ/სთ — 6.659 თეთრი, ხოლო 2017 წელს იქნება - 9.056 თეთრი.

შპს „ჯიფაუერისთვის“ დღგ-ს გარეშე 2016 წლის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის ზედა ზღვარი იყო 1 კვტ/სთ — 8.460 თეთრი, ხოლო 2017 წელს იქნება - 14.120 თეთრი.

შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ დღგ-ს გარეშე 2016 წლის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის ზედა ზღვარი იყო 1კვტ/სთ — 10.748 თეთრი, ხოლო 2017 წელს იქნება - 12.194 თეთრი.

შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისთვის“ დღგ-ს გარეშე 2016 წლის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის ზედა ზღვარი იყო 1კვტ/სთ — 11.303 თეთრი, ხოლო 2017 წელს იქნება — 14.234 თეთრი.

◎ ხელისუფლების საყურადღებოდ!

მიიღეთ მიწის კოდექსი და გადაარჩინეთ ქართული მიწა!

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

მოგეხსენებათ, სახელმწიფოს შექმნის უპირველესი პირობაა ტერიტორიული იდენტობა, ხოლო სახელმწიფოს ტიპზე, მის სიძლიერეზე მეტყველებს, თუ როგორ იმართება ეს ტერიტორია და რამდენად დაცულია კანონის მიერ.

ეს მდგომარეობა ავალდებულებს სახელმწიფოს, დაარსოს ქვეყნის მიწების მართვასა და გამოყენებაზე განსაკუთრებული წესებისა და შეზღუდვების მთელი სისტემა. ამ სისტემის შესაქმნელად: სახელმწიფოს მოვალეობაა – მიწასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოების ფორმულირება; უფლებაა – ჩაერიოს საქმიანობაში, რომელიც აუარესებს მიწის მდგომარეობას, მიიღოს სხვადასხვა სამართლებრივი სანქციები მიწათმესაკუთრეების, მიწათმფლობელების და მიწათმოსარგებლეების მიმართ; პრეროგატივაა – განსაზღვროს მიწის რესურსებით სარგებლობის ძირითადი მიმართულებები, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს მიწების დანიშნულებით გამოყენების სწორ გადაწყვეტას, მიწების ნაყოფიერების გაუმჯობესებას და ნიადაგის დაცვას.

ღია წერილში საკითხის დეტალურად განხილვის შესაძლებლობის არქონის გამო, პრობლემის აუცილებლობაზე და ქვეყნისთვის მის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე განმარტებების მოყვანის გარეშე, პირდაპირ მოგახსენებთ, რომ საკითხი ეხება საქართველოს **მიწის კოდექსს – მიწის უზენაეს კანონს!**

მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას სახელმწიფო უნდა განაგებდეს ერთიანი, უზენაესი კანონით – **მიწის კოდექსით** და ამ კოდექსის საფუძველზე შემუშავებული წესებითა და რეკომენდაციებით: **მონიტორინგს უწევდეს და აანალიზებდეს მიწის ყოველწლიური ბალანსის მდგომარეობას; აწესრიგებდეს მიწის რესურსების გამოყენების, სარგებლობის ძირითად მიმართულებებს; შეიმუშავებდეს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მართვის განსაკუთრებულ წესებსა და შეზღუდვებს; მათ შორის, ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატებაკლების დინამიკას, ქალაქთმშენებლობის, გზების და სხვა საჭიროებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებას და ა.შ.**

მიწის მოქმედმა კანონმდებლობამ, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გარდა, რამდენიმე სპეციალურ კანონს მოიცავს, მთლიანობაში, ვერ მოაწესრიგა მრავალი პრობლემა, რომელიც მტკივნეულად დგას სახელმწიფოს წინაშე.

მიწის კოდექსის უქონლობა მიწის ეფექტურ მართვას, რომელიც ქვაკუთხედს წარმოადგენს როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, დღეისათვის გააჩნია გამოწვევები, რომლებიც პირობითად შესაძლებელია, დაიყოს ორ ნაწილად: **პირველი** – მიწის რესურსების განვითარებისა და დაცვის ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის არარსებობა; **მეორე** – მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების არ არსებობა; რომელიც თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის სოფლის მეურნეობის პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავებასა და მის მართვას.

სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია შეიმუშაოს ქვეყნის ოპტიმალური და პერსპექტივაზე გათვლილი პოლიტიკა, აუცილებელია მის მიერ შექმნილი ერთიანი, უზენაესი კანონით (კოდექსით) იცავდეს მიწის მართვასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან, მრავალმხრივ და ხშირად წინააღმდეგობრივ პრობლემებს.

თანამედროვე მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყანას აქვს მიწის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს და მოიცავს კანონით დადგენილ ყველა ფორმას რაც შეიძლება არსებობდეს მიწასთან დაკავშირებით.

საქართველოს მიწის კოდექსი აუცილებლად და სასწრაფოდაა მისაღები. მხოლოდ მის საფუძველზეა შესაძლებელი მიწის ბაზრის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება ქვეყანაში, რომელიც თავისუფალი იქნება დღეს ამ სფეროში არსებული მოუწესრიგებლობისა და საზოგადოებრივი დაძაბულობისგან.

საქართველოს მიწის კოდექსის შესაქმნელად დიდი დრო არაა საჭირო, ვინაიდან, მეცნიერ-პრაქტიკოსთა ჯგუფმა ბოლო ორ ათწლეულში დაამუშავა მიწის კოდექსის ძირითადი ნაწილები, რომლის შეკვრა, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, კოდექსის პროექტის სამუშაო ვარიანტად შესაძლებელია ოპტიმალურად მცირე ვადაში.

პატივისცემით,

პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი;
ჯუმბერ ფანჩულიძე,
პროფესორი;
ანზორ მესხიშვილი,
პროფესორი;
მიხეილ ჯიბუტი,
პროფესორი;
მამუკა გიორგაძე,
პოლიტიკოსი.

შესაძლოა, ფოთის პორტი სრულყოფილად დაგეგმილზე ადრე ამუშავდეს

ფოთის პორტში ბოლო პერიოდში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია საზღვაო ხაზების წარმომადგენლებს შეხვდა. მინისტრმა პორტში სტიქიისგან გამოწვეული შედეგების გამოსასწორებლად მიმდინარე სამუშაოების შესახებ ანგარიში მოისმინა და გაეცნო იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც გადამზიდავი კომპანიები აღმოჩნდნენ. როგორც შეხვედრაზე ითქვა, პორტში გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს და შესაძლოა, ნავსადგურის სრულყოფილი ფუნქციონირება დაგეგმილ ვადაზე ადრე გახდეს შესაძლებელი.

„საზღვაო ხაზების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მინისტრი პირადად გაეცნო იმ პრობლემატიკას, რომლის წინაშეც საზღვაო ხაზები დგანან ფოთის პორტის შეფერხებული საქმიანობიდან გამომდინარე. ჩვენ მათ გავაცანით ინფორმაცია ფოთის პორტში მიმდინარე სამუშაოების შესახებ და ის დამაიმედებელი პროგნოზი, რომ ნაცვლად 27-28 დეკემბრისა, შესაძლოა, ფოთის პორტმა უსაფრთხო დონეს არხში მიაღწიოს რამდენიმე დღით ადრე. მინდა მოგახსენოთ, რომ დღეს უკვე სიღრმე 7 მეტრია, შესაძლოა, დღის ბოლომდე 8 მეტრამდეც იქნას მიღწეული და შევძლოთ უახლოესი 2-3 დღის განმავლობაში ფოთის პორტში რეიდზე მდგარი ყველა საკონტეინერო გემის მიღება და მათი ტვირთების დამუშავება“, – განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ დავით ხუციშვილმა.

მისივე თქმით, საზღვაო ხაზების წარმომადგენლებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია ბათუმის პორტისა და ბათუმის საკონტეინერო ტერმინალის მზაობის შესახებ იმისთვის, რომ დამატებითი კრიტიკული საჭიროების შემთხვევაში, იქ გამოიძებნება რესურსი ფოთის პორტიდან გადამისამართებული გემების დამუშავებისთვის.

„ჩვენ ასევე შევთანხმდით, რომ მომავალში მსგავსი შესაძლო სიტუაციების დროს კიდევ უფრო მეტი კოორდინაციით, ერთობლივი ძალისხმევით შევძლოთ პრობლემების მოგვარება და ვფიქრობ, რომ შეხვედრა ნაყოფიერი იყო. ჩვენ მუდმივ რეჟიმში გავაგრძელებთ როგორც საზღვაო ხაზებთან, ისე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას და შევეცდებით, ყოველთვის ოპერატიულები და ეფექტიანები ვიყოთ მათი პრობლემების მოგვარებაში“, – აღნიშნა დავით ხუციშვილმა.

საზღვაო ხაზების წარმომადგენლებთან შეხვედრას გიორგი გახარიასა და დავით ხუციშვილთან ერთად ეკონომიკის სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, ჰიდროგრაფიის სამსახურისა და ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

◎ დავიცვათ სოცოცხლე!

საქართველოს ყველა სამთო-სათხილამურო კურორტზე მოთხილამურე პატრული იმუშავებს

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი სათხილამურო სეზონის დაწყების წინ, ბაკურიანში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოთხილამურე პატრულის თანამშრომლებს შეხვდა და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით დავალებები მისცა.

ახალ სათხილამურო სეზონზე საქართველოს ყველა სამთო-სათხილამურო კურორტზე საზოგადოებრივ წესრიგსა და დამსვენებელთა უსაფრთხოებას მოთხილამურე პატრული დაიცავს. აღნიშნული პროექტის განხორციელება 2016 წლის იანვარში, შს მინისტრის გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით დაიწყო. სიახლე პირველ ეტაპზე, საპილოტე პროექტის სახით, გუდაურში ამოქმედდა.

მიმდინარე სეზონზე შსს-ს საპატრულო პოლიციას უკვე ახალი დანაყოფი დაემატა – მოთხილამურე პატრული.

დანაყოფის სპეციალურად გადამზადებული 74 თანამშრომელი გუდაურის, მესტიის (თეთნულდი, ჰაწვალი), ბაკურიანის და გოდერძის უღელტეხილის ზამთრის კურორტების სასრიალო ტრასებზე პატრულირებას სამთო-სათხილამურო ფორმის ტანსაცმლითა და სპეციალური ეკიპირებით განახორციელებს. ახალი აღჭურვილობა, სეზონის გახსნის წინ, მოთხილამურე პატრულის თანამშრომლებს შს მინისტრმა პირადად გადასცა.

„მოთხილამურე პატრულის საპილოტე პროექტმა გაამართლა. გასულ სეზონზე სქი-პატრულმა წარმატებით იმუშავა. არაერთ დაზარალებულ ჩვენს მოქალაქეს და ქვეყნის სტუმარს აღმოუჩინა დახმარება და მრავალგზის აღკვეთა სასრიალო ტრასებზე წესრიგის დარღვევის ფაქტები. როგორც შარშან დაგპირდით, სპეციალურად გადამზადებული მოთხილამურე პატრული წელს უკვე საქართველოს ყველა სამთო-სათხილამურო კურორტზე დაიცავს საზოგადოებრივ წესრიგს, დამსვენებელთა, მოთხილამურეთა უსაფრთხოებას. მჯერა, რომ ისინი წელსაც თავდაუზოგავად იმუშავებენ“, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

სასრიალო ტრასებზე მოთხილამურე პატრულის ფუნქცია-მოვალეობებია: სათხილამურო გზით მოსარგებლე პირთა წესების დაცვის კონტროლი; საფრთხის შემქმნელ პირთა სათხილამურო გზიდან ჩამოშორება; ალკოჰოლურ ან ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა ზემოქმედების დამახასიათებელი ქცევის კონტროლი; მოსწავლე-მოთხილამურეთა ვარჯიშის არეალის კონტროლი და უსაფრთხოების ზომების დაცვა; სათხილამურო ტრანსპორტზე აკრძალული ტრანსპორტით გადაადგილების აღკვეთა; სათხილამურო გზებზე არსებული მონიშვნების, ნიშნების და უსაფრთხოების ბარიერების კონტროლი. პოლიციელებს ფორმის ტანსაცმელსა და სათხილამურო ჩაფხუტზე აქვთ განმასხვავებელი წარწერა – „SKI PATROL“ და „POLICE“.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, აკრძალულია: სასრიალო ზონაში სასრიალო ტრასაზე თოვლმავლითა და მოტოციგით გადაადგილება, გარდა უფლებამოსილი პირებისა; სასრიალო ზონაში სასრიალო ტრასაზე მოსარგებლის მიერ სრიალი ან თოვლმავლის მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში; დახურულ სასრიალო ტრასებზე შესვლა; ასევე, დაუშვებელია სასრიალო ტრასით მოსარგებლის მიერ სხვა მოსარგებლესთან შეჯახების შემდეგ შემთხვევის ადგილის მიტოვება დაზარალებულისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენისა და უფლებამოსილი ორგანოსთვის ან პირისთვის შეტყობინების გარეშე.



PRIMITIVUS

როგორია ქართული პრიმიტივისტული „რუსული პოლიტიკა?“

ლათინური ტერმინი პრიმიტივი (PRIMITIVUS) ქართულად პირველყოფილს, ჯერ კიდევ განუვითარებელს ნიშნავს. აქედან მოდის პრივიტივიზმი – გაუბრალოებული მიდგომა რთული პრობლემებისადმი. ტერმინი განსაკუთრებით პოპულარულია სახელოვნებო წრეებში – პირველყოფილის, პრიმიტივის მიბაძვა, პრიმიტიული ფორმების განზრახ (სპეციალურად) გამოყენება. შორს რომ არ წავიდეთ, ხელოვნებათმცოდნეების მტკიცებით, პრიმიტივიზმის გენიალური წარმომადგენელი გახლავთ ქართველი მხატვარი ნიკო ფიროსმანი.

პრიმიტივიზმი ხშირად გაიგივებულია გულუბრყვილობასთან. ბუნებრივია, ამგვარ მიდგომას აქვს თავისი ფილოსოფიური გამართლება. თუმცა, გულუბრყვილობა არის ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, საგნებისა და მოვლენების უკრიტიკო აღქმა. იგი არ უკავშირდება ადამიანის ნიჭიერებას, ზოგადად, მის გონებრივ შესაძლებლობებს – უდიდესი გონებრივი შესაძლებლობების მქონეც კი, ამავე დროს, შესაძლებელია, იყოს უკიდურესად გულუბრყვილოც. თანამედროვე პირობებში, **პრიმიტივიზმი აღიქმება, როგორც საგნებისა და მოვლენების (ურთიერთობების) ხელოვნურად გაუბრალოება საზოგადოებრივ ცნობიერებაზე სასურველი ზემოქმედების მოსდენის, მატერიალური ან პოლიტიკური სარგებლის, პოპულარობის მოპოვების მიზნით.**

პრიმიტივიზმი არის საკმაოდ მძლავრი იდეოლოგიური იარაღი პოლიტიკური ამბიციების მქონე პერსონების ხელში. კაცობრიობის ისტორიაში ამის მკაფიო მაგალითი გახლდათ ლენინიზმი – კერძო საკუთრების უარყოფის გზით ბედნიერი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თეორია. თანამედროვე საქართველოში ამ თეორიის მიმდევარია ლეიბორისტული (შრომის) პარტია და მისი ოდიოზური ბელადი **შალვა ნათელაშვილი;** რუსეთში – ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია და მისი არანაკლებ ოდიოზური თავმჯდომარე, რუსეთის დუმის ხუთგზის დეპუტატი **ვლადიმერ ჟირინოვსკი** (ეიდელშტეინი).

ბუნებრივია, ვერც ერთს და ვერც მეორეს, მით უფრო, ლენინს, საერთოდ, „მარქსიზმის კლასიკოსებს“ და მსოფლიოში მათი მიმდევრების უმრავლესობას პრიმიტიულ აზროვნებაში ვერ დავადანაშაულებთ. უბრალოდ, ისინი ცდილობდნენ და ცდილობენ სათავისოდ გამოყენებას ადამიანთა უმრავლესობის თვისებისა –– რაც უფრო მარტივია, რაც უფრო ხელმისაწვდომია რაიმე პოლიტიკური თეორია, მით უფრო იოლია მისი გათავისება „მასებისთვის“.

საქართველოს უახლეს ისტორიაში კომიკური პოლიტიკური პრიმიტივიზმის ნიმუში იყო მილანის ლა-სკალას ერთ დროს მსოფლიოში სახელგანთქმული სოლისტის **პაატა ბურჭულაძის** პოლიტიკაში გადაბარგების მცდელობა – „მასების“ პრიმიტიული აზროვნების იმედად დარჩენილი ბატონი ბურჭულაძის ადგილობრივი მნიშვნელობის ავანტიურისტული პოლიტიკური წარმოდგენა ისე ჩაიშალა, პირველ სპექტაკლამდეც კი ვერ მივიდა.

ნაკლებად მასშტაბური, ნაკლებად მნიშვნელოვანი, მაგრამ არანაკლებ კომიკურია ბაღდად-ხარაგაულის საარჩევნო ოლქიდან 2016 წლის მოდელის საქართველოს პარლამენტის დეპუტატის, **ლურსმანაშვილის** პრიმიტივიზმი – თავისი პოლიტიკური გარანტიების უზრუნველსაყოფად თავისსავე ავტომობილში ბიძინა ივანიშვილის ფოტოს ჩამოკიდება! მან, რა თქმა უნდა, იცის, რომ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური გეზის განმსაზღვრელი პერსონის (ან მისი ოჯახის რომელიმე წევრის) მის ავტომობილში მოხვედრის ალბათობა გამორიცხულია. თუმცა იმის იმედიც აქვს, რომ ჟურნალისტების მიერ ამ თემაზე ატეხილი აჟიოტაჟი შუშის სასახლემდე მიაღწევს და მადლიერი მილიარდერი დამწყებ პოლიტიკოსს სიყვარულზე სიყვარულითვე უპასუხებს. სამწუხაროდ, ხსენებული პრიმიტივი დეპუტატის აზროვნების დონე დაახლოებით ისეთივეა, როგორიც იმ ქალბატონებისა, თავის დროზე ზვიად გამსახურდიას ან მიშა სააკაშვილს საკოცნელად რომ ეტანებოდნენ და ბელადების პორტრეტებს წელს ქვემოთ ქამარზე იმაგრებდნენ.

21-ე საუკუნის საქართველოში პოლიტიკური პრიმიტივიზმის ნიმუშია ერთი ძალიან ხელმოცარული პარტიის („გირჩი“) თავგადაკლული მცდელობა მხარდამჭერების მოსაპოვებლად... მარიხუანის დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით. თუ, რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნა მართლაც გულწრფელია, მართლაც პრიმიტიული აზროვნების შედეგია და არ არის წინასწარ კარგად გათვლილი ქმედება საქართველოს მსოფლიო ნარკოცენტრად გარდაქმნის მიზნით.

პრიმიტივიზმის კიდევ ერთი მაგალითია მსოფლიო ისტორიაში კარგად დავიწყებული და თანამედროვე ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ გაღვიძებულ-აღორძინებული „ხატმერბრძოლეობა“ – ბრძოლა **იოსებ სტალინის** სახელის სამუდამოდ დასავიწყებლად, მისი ყველა ნაკვალევის წასაშლელად; სერიოზული დებატები იმის თაობაზე, საერთოდ, უნდა იდგეს თუ არა ბელადის ძეგლი საქართველოში, თუნდაც, სტალინის სამშობლო გორში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სოციალურ ქსელში გავრცელებული ჟურნალისტ ირაკლი ტაბლიაშვილის ეს მიმართვა:

„ბავშვებო, ჩემო სტუდენტებო, მსმენელებო მარნეულიდან, ახალციხიდან, ახალქალაქიდან... წალკიდან. ეროვნებით ქართველებო, სომხებო, აზერბაიჯანელებო... ფრიადოსნებო და ოროსნებო, გონიერებო, გულიანებო, ფიქრიანებო. აი, ეს ბიძია რასაც ამბობს... დეპუტატი ბიძია რასაც ამბობს სტალინზე და მისი ძეგლის აღება-აღდგენაზე, არის არასწორი. მიუხედავად იმისა, რომ ის ხალხის რჩეულია, ეს მისი აზრი არის არასწორი... არამართებული. ჩვენ ქვეყანაში სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებაა და, ამდენად მას ამ აზრის გამოხატვას ვერც ავუკრძალავთ და არც უნდა ავუკრძალოთ, მაგრამ, ის, რასაც ამბობს, არის მცდარი აზრი. თუ მისი ან მისი მეგობრების ძალისხმევით ოდესმე მაინც აღდგა სტალინის ძეგლი გორში ან სხვაგან, გთხოვთ, ერთად წავიდეთ და ფიზიკურად დავლეწოთ“.

ეს და სხვა ამგვარი მიმართვები ნამდვილად იმსახურებს მეტ ყურადღებას (არა მხოლოდ სულელური „ფიზიკურად დავლეწოთ“ გამოთქმის გამო), მაგრამ ამაზე სხვა დროს.

მსოფლიოს და საქართველოს ისტორიაში ასეთი გულუბრყვილო პრიმიტივიზმის მაგალითები ურიცხვია. კაცმა რომ თქვას, ეს სულაც არ არის დიდად საშიში მოვლენა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.

საშიში სხვა რამეა – პრიმიტივიზმით შეფუთული აშკარად ანტისახელმწიფოებრივი, ანტისაზოგადოებრივი ქმედებები.

აგერ უკვე თორმეტი წელიწადია, საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ერთ ასეთ საშიშ და მტკივნეულ მოვლენად რჩება ოფიციალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რანგში აღზევებული და ანტირუსული რიტორიკით შეფუთული საქართველოს ხელისუფლების რუსული პოლიტიკა.

მოდი, გავრისკოთ და, კიდევ ერთხელ გავუსწოროთ თვალი მწარე სიმართლეს – 1990 წლიდან მოყოლებული და, განსაკუთრებით, სააკაშვილის ბატონობის პირობებში, რუსეთმა „დამოუკიდებელ“ საქართველოში მიაღწია თითქმის ყველაფერს, რისი მიღწევაც სურდა – ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური კონტროლი.

ნუ შეგვაცდენს ის ფაქტი, რომ საქართველოში არ ზის კრემლიდან გამოგზავნილი კომპარტიის ცეკას მეორე მდივანი, რუსთაველის პროსპექტზე აღარ არსებობს საბჭოთა КГБ-ს შენობა და ვაზიანის სამხედრო პოლიგონიდან აღარ ისმის რუსული ქვემეხების გრიალი...

მოდი, გავრისკოთ და, კიდევ ერთხელ გავუსწოროთ თვალი მწარე სიმართლეს – 1990 წლიდან მოყოლებული და, განსაკუთრებით, სააკაშვილის ბატონობის პირობებში, რუსეთმა „დამოუკიდებელ“ საქართველოში მიაღწია თითქმის ყველაფერს, რისი მიღწევაც სურდა – ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური კონტროლი.

ნუ შეგვაცდენს ის ფაქტი, რომ საქართველოში არ ზის კრემლიდან გამოგზავნილი კომპარტიის ცეკას მეორე მდივანი, რუსთაველის პროსპექტზე აღარ არსებობს საბჭოთა КГБ-ს შენობა და ვაზიანის სამხედრო პოლიგონიდან აღარ ისმის რუსული ქვემეხების გრიალი...

კაცმა რომ თქვას, დღეს საქართველოში სამხელისუფლებიანობაა: ჩვენს მიერ არჩეული პარლამენტის მიერ დანიშნული ხელისუფლება, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში და რუსეთის უჩინარი ხელისუფლება. იმედია, არ მიწყენთ, რომ ამ ჩამონათვალში არ მოვიხსენიე საქართველოს ლეიბორისტული პარტია, რომელიც შალვა ნათელაშვილის თქმით, თურმე, ბოლო სამ საპარლამენტო არჩევნებში უცვლელად პირველ სამ ადგილს იკავებს, მაგრამ ხელისუფლებამდე მაინც ვერ აღწევს.

სამწუხაროდ, ასეა: გვინდა თუ არა ეს ჩვენ, გამოვთქვამთ თუ არა აღშფოთებას ჩვენ და „ღრმა შეშფოთებას“ ჩვენი დასავლელი „მეგობრები“, ფაქტი უცვლელია – საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საქართველოს ეკონომიკურ ვითარებას ჩვენი დიდი, მარადიული და არცთუ კეთილი ჩრდილოელი მეზობელი აკონტროლებს. ახლა ალბათ არ ღირს იმაზე ლაპარაკი, როგორ და ვისი დამსახურებით აღმოვჩნდით ამ ვითარებაში.

ქართველი პოლიტიკური პრიმიტივისტების უალტერნატივო მოსაზრებით, ქართულმა საგარეო პოლიტიკამ, ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა (ჟურნალისტიკამაც!) შინ და გარეთ, ყველა მოსახვევში, გადასახედში და კუთხეკუნჭულში დროშები უნდა აფრიალოს და უნდა იყვიროს, რომ რუსი არის ოკუპანტი; როცა ცივილიზებული სამყარო ამაში საბოლოოდ დარწმუნდება, იგი თურმე რუსეთს სრულ ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ ალყაში მოაქცევს, მარტივ მამრავლებად დაშლის, მიწის პირისაგან აღგვის და ჩვენი საშველიც მოვა.

მანამდე კი არავითარი ოფიციალური თუ არაოფიციალური მოლაპარაკება-დალაპარაკება ოკუპანტ რუსთან! არავითარი საუბარი რუსულ კულტურაზე, სამხედრო ძლიერებაზე, დაუნდობლობაზე, ისტორიულ გამოცდილებაზე, გეოგრაფიაზე, კულინარიაზე და მაცდურ ლურჯთვალება რუს ლამაზმანებზე! ამის მცდელობა კი არა, გულში გაფიქრებაც კი არის სამშობლოს ღალატი!

ასეთია თანამედროვე ქართული პრიმიტივისტული „რუსული პოლიტიკა“, რომელსაც, ნაწილობრივ მაინც, ქართული ოფიციალური პოლიტიკური წრეებიც იზიარებენ. ალბათ იმის გამო, რომ მათაც ასე ჰგონიათ, ან ლოდინის პოლიტიკას ირჩევენ – ადრე თუ გვიან საზოგადოება თვითონ დარწმუნდება ამგვარი პრიმიტივიზმის აბსურდულობაში და რუსეთთან რეალური ურთიერთობების გარკვევასაც თვითონვე მოითხოვს.

ასეა, თუ საქმე გვაქვს მართლაც გულწრფელ პრიმიტივიზმთან და არა პრიმიტივიზმით შეფუთულ რუსულ (კრემლის) პოლიტიკასთან. საქმე ის არის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დღეს არსებული დაძაბული და ბუნდოვანი ურთიერთობის შენარჩუნება ხელს აძლევს რუსეთს და არა საქართველოს. შესაბამისად, არაფრისმომცემ, ცრუპატრიოტულ ლოზუნგებს ამოფარებული უსასრულო ლოდინის თეორიაც კრემლის „შემოგდებული“ მგონია. ამიტომ ვფიქრობ, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების უარმყოფელი ქართველი თეორეტიკოსების „მოღვაწეობა“ საქართველოს აწმყოსა და მომავლისთვის ვალერი კვარაცხელიას პარტიის აშკარად პრორუსულ პოლიტიკაზე გაცილებით საშიშია.

იმედია, 31 იანვრის ღამეს წითელი მამალი საქართველოშიც ომახიანად იყივლებს და პრიმიტივიზმის გამჭვირვალე საბურველს „ძარს და ნიავს გააყოლებს“.

თეიმურაზ ქორიძე

როცა ექიმი სიკვდილს ამარცხებს

სამედიცინო დაწესებულებების საიმედოობა პაციენტისა და ექიმის საერთო ამოცანაა



სამედიცინო დარგის გამართული მუშაობა ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის მუდმივ ინტერესთა სფეროში შედის; შესაბამისად, აქტუალურია, რომ ექიმმა თუ არაექიმმა გაიცნობიეროს, რა პრობლემებს ვაწყდებით ამ მხრივ და როგორ შეიძლება მოვაგვაროთ ისინი.

ქართული მედიცინის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროდ მიმაჩნია აქცენტების გაკეთება შემდეგზე:

● მკურნალობის დაწყების წინ პაციენტსა და მის ნათესავებთან დეტალურ და თანამიმდევრულ კონსტრუქციულ საუბარზე სამედიცინო პერსონალმა დრო არ უნდა დაზოგოს. ჩვენი კლინიკა ამგვარი საუბრის შინაარსს წერილობით ფორმაში აწვდის პაციენტს და მის ახლობლებს; აქ ვგულისხმობთ არა ინფორმირებული თანხმობის სტანდარტულ ფორმას, არამედ ჩვენსავე მიერ წვრილმანებამდე გაწერილ ჩანაწერს/კონტრაქტს; აქვე პაციენტს და მის ახლობლებს ვუყენებთ მოთხოვნას, რომ ჩვენს ჩანაწერს სურვილის შემთხვევაში გაეცნონ სხვა ახლობლებიც და ექიმს არ მოსთხოვონ ინფორმაციის თავიდან მიწოდება. სამედიცინო რისკებთან დაკავშირებით პაციენტის და მათი ახლობლების წინასწარ გაფრთხილება, მკურნალობის პროცესში ინფორმაციის დინამიკურ რეჟიმში მიწოდება ფანტავს ეჭვებს სამედიცინო დახმარების კვალიფიციურობის შესახებ. როცა მკურნალობის ყველა ეტაპზე ექიმის მოქმედებაში გამჭვირვალობა და ახლობლებთან (ვისთანაც თავდაპირველად ჰქონდა ექიმს კონტაქტი) კავშირი ნარჩუნდება, გართულებების შემთხვევაშიც კი პაციენტსა და მის ახლობლებს აღარ უჭირთ სიტუაციის სწორად შეფასება, იოლი მისახვედრი ხდება, რომ მკურნალობის მძიმე გამოსავალი არანაკლები ტრაგედიაა ექიმისთვისაც.

გეგმიურ სიტუაციებში, ბუნებრივია, საკმარისი დრო არსებობს მკურნალობის დადებით, თუ შესაძლო უარყოფით გამოსავალზე წინასწარი საუბრისათვის. მაგრამ სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სასწრაფო გადაუდებელი ქირურგიული ჩარევის დროსაც აუცილებელია ოპერატორთან შეთანხმებით, გარეთ მომლოდინე ახლობლებისთვის ინფორმაციის დინამიკურ რეჟიმში მიწოდება კომპეტენტური პირის მიერ.

სავალალო სიტუაციას ქმნის შემდეგი გარემოებები:1) ექიმი არაკომპეტენტურობის გამო ვერ საზღვრავს რა გართულებებია მოსალოდნელი და, შესაბამისად, ვერ იძლევა გაფრთხილებას მათ შესახებ; 2) ექიმი შეგნებულად არ საუბრობს გართულებებზე, რათა არ „დააფრთხოს პაციენტი“ და დაითანხმოს ის მკურნალობაზე; 3) ზოგიერთი გართულების განვითარების მცირე ალბათობის მოტივით ექიმი არ ამახვილებს მასზე ყურადღებას; მოვლენათა არასასურველი განვითარების შემთხვევაში კი, მოულოდნელობის ეფექტის გამო პაციენტის ახლობლები აგრესიულები ხდებიან, რაც ბუნებრივი ადამიანური რეაქციაა; 4) ექიმს უყურადღებობის გამო გამორჩება ხოლმე გართულება და იკარგება უმნიშვნელოვანესი დრო მასთან გასამკლავებლად.

დასახელებული სცენარით მოვლენების განვითარებას, სამწუხაროდ, ისევ ვხვდებით საქართველოში, რაც სამედიცინო დაწესებულების მიმართ უნდობლობას იწვევს.

● სამედიცინო საქმიანობის ეფექტურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს გამართული პათოლოგოანატომიური სამსახური. ბოლო რამდენიმე ათეული წელია საქართველოში, პრაქტიკულად, აღარ იკვეთება გარდაცვლილი პაციენტები, აღარ ტარდება პათოლოგოანატომიური კონფერენციები. მოსახლეობას აუცილებლად უნდა განემარტოს, რომ პათოლოგოანატომიური გაკვეთის გარეშე სამედიცინო დარგის განვითარება ფერხდება და რომ სიკვდილის მიზეზების გარკვევა ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის განმსაზღვრელი უმთავრესი გზაა.

● ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობა ძირითადად ნაცნობ-მეგობრებთან არკვევს, ვინ არის „კარგი ექიმი“. ჩვენი ღრმა რწმენით, პაციენტს და მის ახლობლებს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გაეცნოს კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების მუშაობის შედეგებს და არა გაკითხვა-გამოკითხვის გზას დაადგეს. ინფორმაცია, მინიმუმ ბოლო ერთი წლის (ჩვენი კლინიკა აწვდის ინფორმაციას 32 წლის მუშაობის შედეგებზე) განმავლობაში ჩატარებული წარმატებული, თუ წარუმატებელი მკურნალობის შესახებ, თანდართული უნდა იყოს ინფორმირებული თანხმობის ფურცელზე; ამ ინფორმაციით, გასაგები ხდება გართულებების განვითარების რა ალბათობა არსებობს კონკრეტულ დაწესებულების ფარგლებში მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში.

● პრობლემას ქმნის ის გარემოებაც, რომ ბევრ ექიმს არა აქვს სათანადო პროფესიული დონე, ჩაატაროს მისთვის და მისი კლინიკისთვის ლიცენზიით ნებადართული მოცულობის სამედიცინო დახმარება. შესაბამისად: ა) კლინიკას მინიმუმ კლინიკურ დარგში უნდა ხელმძღვანელობდეს მაღალპროფესიონალი ექიმი, რომელსაც კარგად შეუძლია განსაზღვროს, რომელ ექიმს რა მოცულობის სამუშაოს შესრულება შეუძლია და რა ხარისხში; ბ) რთულ კლინიკურ სიტუაციებში კლინიკის ხელმძღვანელი თანამშრომლისთვის რეალურ დასაყრდენს უნდა წარმოადგენდეს; გ) სამედიცინო პერსონალმა უნდა იცოდეს, როდის, რა საკითხი შეუთანხმოს კლინიკის ხელმძღვანელს, და როდის იმოქმედოს დამოუკიდებლად; დ) კლინიკის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, როგორც საკუთარ, ისე თანამშრომელთა მოქმედებაში ნებისმიერი, უმნიშვნელო შეცდომის უმოკლეს დროში განხილვა და გამოსწორება; ე) დაწესებულების თითოეული თანამშრომელი პაციენტს ოჯახის წევრივით უნდა უვლიდეს, რაც ხელოვნურად და ხელმძღვანელის მხრიდან მაგალითის მიცემის გარეშე შეუძლებელია; ვ) სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაში სირთულეების სრულ აღმოფხვრამდე კლინიკის ხელმძღვენელმა უნდა შექმნას შესაბამისი პირობები მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის დასახმარებლად; ზ) კლინიკის პრიორიტეტი უნდა იყოს თითოეული პაციენტის მკურნალობაში მაღალი ხარისხის ჩვენება და არა პაციენტების საერთო რაოდენობასა და შემოსავლების ზრდაზე ფიქრი; ამგვარი ქმედებაც, კლინიკის ხელმძღვანელის მხრიდან მაგალითის გარეშე შეუძლებელია; თ) მედიცინის კომერციალიზაცია დღევანდელ ქართულ რეალობაში შეუძლებელია; კლინიკების საიმედოობისა და შესაბამისად, მათი შემოსავლების ზრდა არა პაციენტთა ხელოვნური გზებით მოზიდვაზე, არამედ პირიქით — ამ კუთხით არაფორსირებულ მოქმედებებსა და, რაც მთავარია, პროფესიონალ ექიმთა ადგილზე დამაგრებით არის შესაძლებელი.

გელა მუხაშავრია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს კოლოპროქტოლოგიის ცენტრის დირექტორი, საქართველოს კოლოპროქტოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელი, თბილისის საპატიო მოქალაქე

◎ მკითხველის თხოვნით

485000 ადამიანი იღებს სოციალურ დახმარებას!

(მეორე გვერდიდან)

გაუქმების შესახებ, რომელსაც მერია სოციალურად დაუცველებს უნიშნავდა. მერიაში „მეტრონომს“ განუცხადეს, რომ ბარათები უქმდება მაშინ, როცა სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზიდან პირს ამოიღებენ.

— სამგზავრო ბარათები ცალსახად ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაა. ჩვენ არ ვიცით, ვის რატომ გაუუქმდა ეს ბარათები. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაზე ძალიან ბევრი ცენტრალური და მუნიციპალური პროგრამაა მიბმული და ყველას ინდივიდუალური მიდგომა აქვს. ყოველი შემთხვევისთვის, მერიისთვის ჩვენი ბაზა ხელმისაწვდომია და ხედავენ ვის რამდენი ქულა აქვს, ვის მოემატა, ვის დააკლდა და ა.შ.

— არსებობს თუ არა ზუსტი სქემა, რომლის მიხედვითაც შეიძლება ოჯახს ქულა მიენიჭოს?

— არა, რადგან, მაგალითისთვის, ოცდაათი ათასი ქულა ერთმა ოჯახმა შეიძლება მოიპოვოს, როცა ჰყავს ერთი შრომისუნარიანი პირი, ორი არასრულწლოვანი და აქვს ერთი ოთახი და ელექტროენერგიის ნულოვანი გადასახადი, მაშინ, როცა მეორე ოჯახმა შესაძლოა, ეს ქულა მიიღოს მაშინ, როცა აქვს ორი ოთახი, ელექტროენერგიის გადასახადი ათი ლარი და ჰყავს ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ოცდაათი ათასი ქულის ქვემოთ მყოფი ოჯახები ერთმანეთს რომ შეადაროთ, სრულიად განსხვავებულია მათი წევრთა რაოდენობა, სტატუსები, ქულები და ა.შ. კეთილდღეობის ინდექსი რითიც გამოითვლება, საკმაოდ რთული ფორმულაა, სადაც გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო, დემოგრაფიული, განათლების თუ შემოსავლის ინდექსები. წინასწარ ვერავინ იტყვის რამდენი ქულა გამოუვა ოჯახს. ჩემთვის ხშირად უკითხავთ, ორწევრიანი ოჯახია, ორივე პენსიონერია, არავინ დამხმარე არ ჰყავთ, ცოტა მიწა აქვთ და ორი ქათამი ჰყავთ, სავარაუდოდ რამდენი ქულა გამოუვათო. ასე წინასწარ ვერავინ ვერ იტყვის, რადგან ეს ყველაფერი რთული ფორმულის მეშვეობით დგინდება.

მანა ნოდია

რედაქციისგან:

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე .

საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიანი ოჯახისათვის არის 60 (სამოცი) ლარი; ორ და მეტსულიანი ოჯახების შემთხვევაში, ერთსულიანი ოჯახისათვის დადგენილი საარსებო შემწეობის ოდენობას მეორე და ოჯახის ყოველ მომდევნო თითოეულ წევრზე ემატება 48 ლარი;

საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება:

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია —განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე — განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე — განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე — განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია — საარსებო შემწეობა განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

ოჯახის კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლა ხდება მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აფიქსირებს სპეციალურ კითხვარში სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის დახმარებით. ოჯახის დეკლარაციაში ფიქსირდება ოჯახის მახასიათებლების ყველა ის მნიშვნელობა, რომლებიც გამოიყენება კეთილდღეობის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში.

კითხვარი მოიცავს სრული ინფორმაციის მიწოდებას ოჯახის წევრების ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, განათლების, უძრავი/მოძრავი ქონების და სხვა დეტალების შესახებ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სემეკში ფირფიტა გადააბრუნეს!



დენი და გაზი შეიძლება, გაძვირდეს

მოსახლეობას მოულოდნელად შეაპარეს, რომ დენისა და გაზის გაძვირებისთვის მოემზადოს. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ენერგეტიკის სამინისტრო და სემეკი მონაცვლეობით ამტკიცებდნენ, რომ ტარიფები არ გაიზრდებოდა, მაგრამ ახლა სემეკმა პოზიცია შეიცვალა. გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე, კომუნალური გადასახადების გაძვირების საფრთხე აშკარაა.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელი კომუნალური ტარიფების ზრდას არ გამორიცხავს.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე მყოფმა **ირინა მილორავამ** აღნიშნა, რომ მომდევნო დღეებში შესაძლებელი იქნება სამომხმარებლო ტარიფებთან დაკავშირებით კონკრეტული პროგნოზის გაკეთება.

„ყველა მომდევნო დღე ამ კვირაში და მომდევნო კვირაში არის ტარიფების სხდომა. ვიდრე ჩვენ სამომხმარებლო ტარიფებზე მივიღებთ გადაწყვეტილებას, იქამდე ვმსჯელობთ გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ტარიფებზე, ჰიდროელექტროსადგურების ტარიფებზე. უკვე განხილული გვაქვს გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები და აქ ზრდა არის „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და „ენერგოტრანსის“ ნაწილში. ზრდა გამოიწვია იმ ამბიციურმა საინვესტიციო გეგმამ, რომელიც „სახელმწიფო ელექტროსისტემას“ აქვს.

შემდეგ სხდომაზე უკვე ვიხილავთ თბოელექტროსადგურების ტარიფს, შემდეგ მოხდება ჰიდროელექტროსადგურების ტარიფების განხილვა და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება სამომხმარებლო ტარიფებზე პროგნოზების გაკეთება. დღეს ჩვენი მხრიდან რამე შეფასება ამ მხრივ არასწორი იქნება“, — განაცხადა მილორავამ.

ნიშნავს თუ არა სემეკის თავმჯდომარის ასეთი პოზიცია იმას, რომ ენერგომატარებლების გასაძვირებლად ნიადაგი იქმნება? საპარლამენტო უმცირესობაში სწორედ ასე ფიქრობენ. დეპუტატი **დავით ბაძრაძე** უახლოეს მომავალში კომუნალური გადასახადების გაზრდას ვარაუდობს და აცხადებს, რომ ლარის გაუფასურების შედეგად მოსახლეობას სერიოზული პრობლემები შეექმნება.

„პირველი საფრთხე არის კომუნალური გადასახადების გაზრდა. თუ ლარის დღევანდელი კურსი შენარჩუნდა, ჩვენი ენერგოსისტემა იძულებული იქნება, გადახედოს ტარიფებს - იძულებული იქნება, გააძვიროს ელექტროენერგია და გაზი. მოსახლეობას საფასური გაეზრდება შუა ზამთარში, რაც მათთვის უმძიმესი პრობლემა იქნება. მეორე პრობლემა კი არის ეკონომიკური კოლაფსი 2017 წელს. სრული გაურკვევლობაა მოსახლეობასა და ბიზნესში. დღეს არავინ იცის, როგორი იქნება ლარის კურსი შემდგომ თვეებში, რაც ბიზნესს მომავალი ბიზნესგეგმის დაგეგმვაში სერიოზულ პრობლემას უქმნის“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ელექტროენერგიაზე ტარიფი მცირედით, გაზზე კი უფრო მნიშვნელოვნად გაიზრდება. ეკონომიკის ექსპერტის **გია ხუხაშვილის** თქმით, ახლა რთულია კონკრეტული ციფრების დასახელება, თუმცა, მიუხედავად ხელისუფლების წარმომადგენლების ოპტიმისტური განცხადებებისა, ცხადია, რომ ტარიფის ზრდა მოსალოდნელია.

„ელექტროენერგეტიკაში ტარიფის შენარჩუნება-კომპენსირების რამდენიმე გზა არსებობს. ეს შეიძლება მოხდეს საინვესტიციო კომპონენტის შემცირებით, რაც მეორე უბედურებაა, რადგან შედეგად შეიძლება მივიღოთ სინათლე გრაფიკით და ავარიული და არაფუნქციონირებადი სისტემა. კიდევ ერთი გზაა სუბსიდირება, მაგრამ ტოტალური სუბსიდირების სისტემაზე გადასვლაც არ შეიძლება.

რაც შეეხება ტარიფებს, გაზის ნაწილში მატება უფრო მეტი იქნება, რადგან მას პირდაპირ უცხოურ ვალუტაში ვყიდულობთ. ელექტროენერგიის კუთხით ცოტა უკეთესი ვითარებაა, რადგან აქ ჰესების მიერ გამომუშავებული იაფი ენერგია გვაქვს. ამიტომ ტარიფი შედარებით მცირედით, სავარაუდოდ, 2-3 თეთრით გაიზრდება, გაზზე კი უფრო მნიშვნელოვანი მატებაა მოსალოდნელი“, — აღნიშნა ხუხაშვილმა „ბიპიერთან“ საუბრისას.

სხვაგვარად ფიქრობს ენერგეტიკოსი **თემურ ჭიჭინაძე**, რომელიც მიიჩნევს, რომ ენერგოკომპანიებს ტარიფის ზრდის მოთხოვნის მორალური უფლება არ აქვთ, რადგან დიდი „ლუფტით“ მუშაობენ. მისი თქმით, „ენერგო პრო ჯორჯია“ და „თელასი“ ზეგეგმიურ მოგებაზე მუშაობენ და იმით აპელირება, რომ ლარის კურსის ცვლილების გამო ტარიფი გაიზარდოს, არ შეიძლება. ორივე კომპანიასთან დადებული სახელმწიფო ხელშეკრულებები, სამწუხაროდ, გასაიდუმლოებულია.

ჭიჭინაძის ინფორმაციით, ენერგოკომპანიებს გაწერილი ჰქონდათ გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებები და ამის შედეგად ტარიფშიც წინმსწრებად ჰქონდათ გათვალისწინებული. **„სამწუხაროდ, ეს ინვესტიციები განხორციელებული არ არის და დღეს ამის მომთხოვნიც არავინაა“,** — აცხადებს ჭიჭინაძე და დასძენს, რომ იმპორტირებული ენერგიის წილი მცირეა და ის დაახლოებით მთლიანი ენერგიის 1/3-ს შეადგენს. ადგილობრივი ენერგია ბევრად იაფია და ამიტომ გაძვირების საფუძველი არ არსებობს.

გეძა დანელია

◎ თამბაქოს აქციზი

ძველებურად მომწამვლელი, თან გაძვირებული „სიამოვნება“

ახალი წლის დადგომას მუდამ სასიხარულო მოლოდინები ახლავს ხოლმე, თუმცა 2017-ის მობრძანება სამამულო მომხმარებელს დიდად სასიკეთო ცვლილებებს არ უქადის. მთავრობის მიერ დაანონსებული ცვლილებებიდან უმთავრესი, ცხადია, ნავთობპროდუქტებზე აქციზის მატებაა, თუმცა კი წინ კიდევ ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე ტარიფების მომატების სავსებით რეალური „ლანდის“ დანახვაც შეიძლება, ხოლო თამბაქოს ნაწარმზე აქციზური გადასახადის ჯერაც ძალაში არშესული გადაწყვეტილება, ჩვენში სიგარეტის საცალო ფასებზე უკვე საგრძნობლად აისახა.

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 1 იანვრიდან ერთ კოლოფ სიგარეტზე სააქციზო გადასახადი 60 თეთრით გაიზრდება, ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ მისი საცალო ფასი 0,8- 1,0 ლარით მოიმატებს. ამ დროს თამბაქოს მწეველებს ყურადღებიდან არც ის გარემოება უნდა გამორჩეთ, რომ ლარის კურსის დაცემის კვალდაკვალ, ერთი კოლოფი სიგარეტის ფასი შეიძლება ამაზე მეტადაც გაიზარდოს. ამის ვარაუდი იმაზე დაყრდნობითაც შეიძლება, რომ ამ წინასაახალწლო დღეებში დიდ მაღაზიებსა და ჯიხურებში დისტრიბუტორებს პროდუქცია უკვე 10-30 თეთრით მომატებულ ფასად შეაქვთ და ეს მხოლოდ „ პირველი მერცხლებია“.

თამბაქოს ნაწარმზე სააქციზო გადასახადის ზრდის გადაწყვეტილების ოფიციალურ განმარტებაში აღნიშნულია, რომ ამ ნაბიჯის გამომწვევი უმთავრესი მიზანია მწეველთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა, თუმცა კი ექსპერტთა დიდი ნაწილი ამას გარკვეულ თვალთმაქცობად მიიჩნევს. ამის პირველი მიზეზი ისაა, რომ, როგორც მრავალი ქვეყნის, ასევე უწინდელი სამამულო გამოცდილება მოწმობს, რომ მართალია თამბაქოზე ფასების გაზრდა გარკვეული დროით ამცირებს მისი მოხმარების დონეს, მაგრამ შემდეგ ერთგვარად „მწეველთა ძალების“ გადანაწილება ხდება — მათი ნაკლებად შეძლებული ნაწილი უფრო იაფფასიანი და, მაშასადამე, ჯანმრელობისთვის გაცილებით საზიანო პროდუქციის მოხმარებაზე გადადის. ამიტომაც, დაანონსებული მიზნის მისაღწევად მარტო თამბაქოს ნაწარმების გაძვირება არ კმარა, ამასთან ერთად ასევე საჭიროა ფართომასშტაბიანი, მიზანმიმართული, გრძელვადიანი კამპანია, რომელიც თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული. სასურველი შედეგის მოტანა ორივე კომპონენტის ორგანული შერწყმით უნდა მოხდეს, რა დროსაც აქცენტი ასევე თამბაქოს მოწევის ყოველდღიური ყოფის არაეთიკურ და არაპრესტიჟულ ნორმად დამკვიდრებაზე უნდა გაკეთდეს, რაშიც დიდია განათლების სისტემის მიზანდასახული მოქმედება.

ცალკეა აღსანიშნავი მეტად საყურადღებო გარემოება, რომელიც სავსებით შესაძლოა, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის ასე საგრძნობლად გაზრდას მოყვეს. ესაა ქვეყანაში თამბაქოს კონტრაბანდული შემოდინების რისკი. ამ საფრთხის სიმძაფრეს კი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გარკვეულ უბნებზე (ვთქვათ, სამაჩაბლოს, აფხაზეთის) ცნობილ მიზეზთა გამო არსებული აშკარად არასახარბიელო ვითარება, ასევე ჩვენს უახლოეს სამეზობლოში თამბაქოს ნაწარმზე შედარებით დაბალი ფასი განაპირობებს.

ექსპერტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის მატებას ბიუჯეტში მობილიზებული თანხების ოდენობის ზრდის სანაცვლოდ ზოგჯერ მათი კლება მოჰყოლია. ეს გარემოება არასაკმარისმა ადმინისტრირებამ, არასრულყოფილმა საკანონმდებლო და ბიზნესგარემომ, არახელსაყრელმა ეკონომიკურმა პირობებმა შეიძლება განაპირობოს, რაც მთავრობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

ყველა სიკეთესთან ერთად, სააქციზო გადასახადის მატებას მოყოლილ თამბაქოს პროდუქციის გაძვირებას და შედეგად გაყიდვების მოცულობის კლებას გარდაუვლად მოყვება ბიზნესში დაკავებულთა (კერძოდ, იმპორტიორთა, დისტრიბუტორთა, რეალიზატორთა) რიცხოვნობის შემცირებაც, რის შედეგად უმუშევარი და საარსებო სახსრების გარეშე დარჩენილი ხალხის რიცხოვნობა მოიმატებს.

ყველაფერ ზემოთქმულთან ერთად, ექსპერტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე გადასვლის შედეგად **(მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს კომპანიებს მოგების იმ ნაწილის დაბეგვრისგან ათავისუფლებს, რომელიც აქციონერებში კი არ განაწილდება, არამედ რეინვესტირებაზე, წარმოების გაფართოებაზე მიიმართება — ო.ტ.)**, სახელმწიფო ბიუჯეტს ნახევარი მილიარდი ლარი შემოსავალი დააკლდება. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ მთავრობა ამ დანაკლისის გარკვეულ კომპენსირებას ცდილობს სხვა სახეობის გადასახადების (ამ შემთხვევაში თამბაქოს ნაწარმზე აქციზის) გაზრდით. აღნიშნავენ იმასაც, რომ გაცილებით მისაღები, თანაც უფრო პერსპექტიული და მეტის მომცემი გზაა ბიუროკრატიული ხარჯის შემცირება. თამბაქოს თავგადაკლული მწეველები გაძვირებულ სიგარეტს მაინც შეიძენენ, სამაგიეროდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებებისათვის (ვთქვათ, საკვებისთვის, წამლებისთვის, კომუნალური გადასახადებისთვის და სხვა.) ნაკლები ფული დარჩებათ.

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ აქციზის გადასახადის ჯერ ძალაში არშესულ გადიდებამდე კარგა ხნით ადრე თხოვნა „ერთი სიგარეტი მომაწევინე!“ გაცილებით უფრო „ძვირიანი“ გახდა, რეალობა კი თვალნათლივ ნაახალწლევს გამოჩნდება.

ოთარ ტურაგელიძე

ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

პატარა უფლისწული

ზღაპარი
ავტორის ნახატებით

ფრანგული ტექსტი
ქართულად გადმოაქცია
გურამ გოგიაშვილმა

XXII

– დღე მშვიდობისა, – თქვა პატარა უფლისწულმა.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, – გამოეხმაურა მეისრე.

– რას აკეთებ? – ჰკითხა პატარა უფლისწულმა.

– მგზავრებს ვანაწილებ, გინდა დახარისხება თქვი, – მიუგო მეისრემ, – ათასათას კაცს ერთბაშად ვსხამ მატარებლებში – ზოგს მარჯვნივ ვისტუმრებ, ზოგსაც მარცხნივ.

და ზედდატანებაზე ფანჯრებგაჩახჩახებულმა ჩქარმა მატარებელმა ისეთი გამაყრუებელი გრუხუნით ჩაიქროლა, რომ მეისრის ბუდრუგანამ სულ ზანზარი დაიწყო.

– როგორ ჩქარობენ! – გაიოცა პატარა უფლისწულმა, – ნეტავი რას ეძებენ?

– ეგ მემანქანემაც კი არ იცის, – თქვა მეისრემ.

და ახლა მეორე გაჩახჩახებულმა ჩქარმა მატარებელმა ჩაიგრუხუნა საპირისპირო მიმართულებით.

– მაგ მატარებლის მგზავრები უკვე ბრუნდებიან? – იკითხა პატარა უფლისწულმა.

– არა, ეგენი სხვა მგზავრები არიან, შემხვედრ მატარებელში სხედან, – უთხრა მეისრემ.

– სადაც ადრე იყვნენ, იქ რა, აღარ მოეწონათ?

– იქ მუდამ კარგია, სადაც ჩვენ არა ვართ, – თქვა მეისრემ.

და კვლავ ჩაიგრიალა მესამე ჩქარმა მატარებელმა.

– მაგათ რა, წინ წასულთა დაწევა უნდათ? – იკითხა პატარა უფლისწულმა.

– არა, არცრა მაგათ არ უნდათ, – თქვა მეისრემ. – ზოგ მგზავრს სძინავს, ზოგიც უბრალოდ ზის და ამთქნარებს. ერთი მარტო ბავშვები აჭყლეტენ ცხვირებს ფანჯრების მინებს.

– ერთმა მარტო ბავშვებმა იციან, რას ეძებენ, – ჩაილაპარაკა პატარა უფლისწულმა, – ეგენი სულმუდამ თავიანთ ჭინჭის თოჯინებს ევლებიან თავს და სულში იძვრენენ, თუ ვინმე გამოსტაცებს, ბღავილიც ზედ არის...

– ღმერთმა ბედნიერები ამყოფოს, – თქვა მეისრემ.

XXIII

– დღე მშვიდობისა, – თქვა პატარა უფლისწულმა.

– მშვიდობა არ მოგკლებოდეს, – უპასუხა ვაჭარმა.

ეს ვაჭარი წყურვილის მომკვლელი ახალგამოგონებული აბებით ვაჭრობდა. საკმარისია ერთი ასეთი აბის გადაყლაპვა და მთელი კვირა წყლის წყურვილი რა არის, არ იცი.

– ვითომ რატომ ყიდი ასეთ აბებს? – დაეკითხა პატარა უფლისწული.

– თითოეული აბი დროის დიდ შეღავათს იძლევა და იმიტომ, – მიუგო ვაჭარმა, – ამ საქმის მცოდნე ხალხის გამოანგარიშებით, კვირაში ორმოცდაცამეტი წუთის დაზოგვა შეიძლება.



– მერედა, რა უნდა ვქნათ ამ ორმოცდაცამეტ წუთში?

– რაც მოგეპრიანება.

„ორმოცდაცამეტი თავისუფალი წუთი რომ მომცა, – ფიქრი გაივლო გულში პატარა უფლისწულმა, – ავდგებოდა და სულაც წყაროზე წავიდოდი...“

XXIV

უკვე ერთი კვირა მიიწურა, რაც ავარია განვიცადე, და წყურვილის მოსაკლავი აბების ამბავს რომ ვისმენდი, ჩემი წყლის მარაგის უკანასკნელ ყლუპს ჩავასველებინე გამშრალი ყელი.

– ძალიან საგულისყურო ამბებს მიყვები, – ვუთხარი პატარა უფლისწულს, მაგრამ ჩემი თვითმფრინავი ჯერ კიდევ არ შემიკეთებია, წყალი კი წამლადაც აღარ დამრჩა, სულ ამომეწურა მარაგი. ნამდვილად ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს შენთან ერთად წყაროზე წამოსვლა.

– მელია, რომელსაც დავუმეგობრდი...

– აბა, რა მელიავება, ჩემო საყვარელო ბიჭო!

– ვითომ რატომ?

– რატომ და მალე ალბათ წყურვილი მომკლავს...

ის ნათქვამს მთლად კარგად ვერ მიმიხვდა, აზრი აზრს ვერ დააკავშირა და შემეპასუხა:

– მეგობრის ყოლას რას სჯობს, გინდაც წყურვილითაც ვკვდებოდე, მე დიდად მოხარული ვარ, მელიას რომ ვმეგობრობდი...

„ამას არ ესმის, რამხელა საფრთხის წინაშე ვართ. თვითონ არცროდის არც შიმშილი, არც წყურვილი არ გამოუცდია. მარტო მზის სხივიც ჰყოფნის...“

ეს ხმამაღლა არ მითქვამს, მხოლოდ გავიფიქრე. მაგრამ პატარა უფლისწულმა შემომხედა და ჩაილაპარაკა:

– მართალი გითხრა, მეც მწყურია... წავიდეთ, ჭა მოვძებნოთ...

მე უღონოდ გავშალე ხელები: რა აზრი აქვს უკიდეგანო უდაბნოში ჭის ანდეზე ძებნას-მეთქი. მაგრამ მაინც გავუდექით გზას.

კარგა ხანს ხმის ამოუღებლად ვიარეთ. ბოლოს ჩამოღამდა, და ცაში ვარსკვლავები აუციკუციკდნენ. წყურვილისგან ცოტას მაჟრიალებდა, და ვარსკვლავები თითქოს მეზმანებოდნენ, თავში პატარა უფლისწულის სიტყვები მიტრიალებდა და ვკითხე:

– მაშასადამე, შენც იცი, რა არის წყურვილი? მაგრამ მან არ მიპასუხა. უბრალოდ თქვა:

– უწყლოდ არც გულს შეუძლია გაძლება...

მე ვერ მივხვდი ნათქვამს, მაგრამ გავჩუმდი. ვიცოდი, რომ არ ეგებოდა უფლისწულის გამოკითხვა.

დაღლილი იყო. ქვიშაზე დაჯდა. მე გვერდით მივუჯექი. ცოტა ხანს ხმა არ ამოგვიღია. მერე მან თქვა:

– ვარსკვლავები ძალიან ლამაზები იმიტომ არიან, რომ სადღაც იქ არის ყვავილი, თუმცა, კი ის თვითონ არა ჩანს...

– მართალი ხარ, – ვუთხარი და თან მთვარის შუქით გაციაგებულ შეტალღებულ ქვიშას ვუცქეროდი.

– უდაბნოც ლამაზია... – დააწონა პატარა უფლისწულმა.

მართალი თქვა. მე ყოველთვის მომწონდა უდაბნოში ყოფნა. ზიხარ ქარისგან მოტანილ სილის პატარა ბორცვზე, გინდა დიუნი თქვი, არცრას თვალს ვერ ატან, არცრა ხმა ისმის და მდუმარება თითქოს მაინც ასხივებს...

– იცი, რატომ არის უდაბნო გულმისავალი? – თქვა პატარა უფლისწულმა, –იმიტომ რომ უდაბნოში წყაროებია მიმალული...

სახტად დავრჩი. უცებ მივხვდი, ქვიშის იდუმალი ნათების მიზეზს. ოდესღაც, ჩემს პატარა ბიჭობაში, ერთ ძველთაძველ, ადამისუამინდელ სახლში ვცხოვრობდი. მანდაო, ხალხი ლაპარაკობდა, განძი რამ არის გადანახულიო. ცხადია, არცვის ის განძი არ აღმოუჩენია და, შესაძლოა, არც უძებნია ვისმე არცროდის, მაგრამ იმ განძის გამო ის სახლი თითქოს მოჯადოებული იყო, რადგან გულში იდუმალება ემარხა...

– მართალი ხარ, – ვუთხარი,– გინდ სახლი იყოს, გინდ უდაბნო და გინდა ვარსკვლავი, ყველაზე ლამაზი სამივეში ის არის, რაც თვალით არა ჩანს.

– ძალიან მოხარული ვარ, რომ თანახმა უხდები ჩემს მეგობარ მელიას, – შემეხმიანა პატარა უფლისწული.

მერე ამ ლაპარაკ-ლაპარაკში ჩაეძინა, აღარ დავყოვნებულვარ, ეგრევე ავიტატე და გზა განვაგრძე. აღელვებული ვიყავი. ასე მეგონა, მყიფე რამ განძი მიმქონდა, და უფრო საზუზარი და მალალი რამ არცრა ქვეყანაზე არ იყო. მთვარის შუქზე დავცქეროდი იმის გაფითრებულ შუბლს, დახუჭულ ქუთუთოებს, ოქროს კულულებს, რომელთაც ქარი უწეწავდა, და ჩემსავე თავს ვეუბნებოდი: ეს ყოველივე მხოლოდ ნაჭუჭია. ყველაზე მთავარი ის არის, რასაც თვალი ვერა ხედავს.

ნახევრად ღია ბაგეები ღიმილმა შეუთრთოლა, და ჩემს თავს ვუთხარი: ამ მძინარე პატარა უფლისწულში ყველაზე უფრო ამაღელვებელია ერთგულება ყვავილის მიმართ, და თვით ვარდის სახება, რომელიც სხივებად ეფრქვევა სულში, როგორც რომ ლამპრის ალი, მაშინაც კი, როცა სძინავს... და მივხვდი, რომ ის უფრო სათუთი იყო, ვიდრე მეგონა. ლამპართ კი გაფრთხილება უნდა: ქარის ერთი დაბერვა უმალ ჩააქრობს.

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, რიბირაბომ ზედ ჭას მიგვაყენა...

XXV

– ადამიანები ჩქარ მატარებლებში კი სხდებიან, მაგრამ თავადაც არ იციან, რას დაეძებენ, – თქვა პატარა უფლისწულმა, – ამიტომაც დადიან არეარეზე და ღობეყორეს ედებიან.

მერე დააწონა:

– და სულ ტყუილად...

რომელ ჭასაც ჩვენ მივადექით, სულ არა ჰგავდა საჰარის სხვა ჭებს. ჩვეულებრივ აქაური ჭა ქვიშაში ჩათხრილი ორმოა. ეს კი ნამდვილი სოფლური ჭა იყო. მაგრამ თვითონ სოფელი არსად არა ჩანდა. და ვიფიქრე, ალბათ, სიზმარში თუ ვარ-მეთქი.

– პირდაპირ უცნაურია, – ვუთხარი პატარა უფლისწულს, – ყველაფერი თავის ადგილზეა: ოწინარიც, საწყლეც და თოკიც.

პატარა უფლისწულმა გაიცინა, თოკი დასწია, ოწინარი დატრიალდა და დიდი ხნის უქარობისგან ჩაუანგებული ფლუგერივით აჭრიალდა.

– გესმის? – თქვა პატარა უფლისწულმა,



– ჩვენ ჭა გავაღვიძეთ და ხედავ, როგორ ამღერდა...

არ დაიღალოს-მეთქი, შევფიქრიანდი.

– შეეშვი, წყალს მე ამოვიღებ, – ვუთხარი, – შენთვის მძიმე საქმეა.

ნელ-ნელა ამოვწიე სავსე საწყლე და ჭის ქვის გვიმზე საიმედოდ დავდგი. ყურებში კიდევ ჩამესმოდა აჭრიალებული ოწინარის სიმღერა. საწყლეში ჯერ ისევ თრთოდა წყალი და შიგ კი, წყალში, მზის ათინათი კრთოდა.

– მაინცდამაინც ამ წყლის დალევა მინდა, – თქვა პატარა უფლისწულმა, – დამალევინა...

და მივხვდი, რასაც ის ეძებდა.

საწყლე ბაგეებთან მივუტანე. თვალებდახუჭული სვამდა. ღმერთმანი, ნამდვილი ნადიმი იყო. ეს უბრალო წყალი არ ყოფილა. ის აუიკუციკებული ვარსკვლავების ქვეშ გამავალმა გრძელმა გზამ, ოწინარის ჭრიალმა და ჩემი ხელების ძალისხმევამ შვა. ის იყო გულისთვის მიძღვნილი საჩუქარი. ჩემს პატარაობაში აგრერიგად ანათებდნენ ჩემი საშობაო საჩუქრები: რა დამავიწყებს სანთლებით გაბდღვრიალებულ ნაძვის ხეს, ღამეული მესის საორგანო მუსიკას, უამრავ ალერსიან ღიმილს.

–შენს პლანეტაზე, –თქვა პატარა უფლისწულმა, – ადამიანები ერთ ბაღში ხუთი ათას ძირ ვარდს ახარებენ... მაგრამ იმას ვერ პოულობენ, რასაც ეძებენ...

– ვერ ნახულობენ, მართალი ხარ, – დავეთანხმე.

– თუმცა, რასაც ისინი ეძებენ, იმის პოვნა შეიძლება ერთადერთ ვარდში, წყლის ერთ ყლუპში.

– რა თქმა უნდა, მართალი ხარ, ისევ დავეთანხმე.

და პატარა უფლისწულმა თქვა:

– თვალები უსინათლოა. ძებნა გულით უნდა.

წყალი მოვსვი. ლაღად ვსუნთქავდი. განთიადისას, ცისპირი რომ დაიძვრის, ქვიშა თაფლივით ოქროსფერდება. და ქვიშა რომ თაფლივით ოქროსფერი იყო, ამითაც ბედნიერი ვიყავი. სანაღვლებელი რა მქონდა?

– პირუმტკიცობა არ ეგების. სიტყვა უნდა შეასრულო, – ალერსიანი ხმით მითხრა პატარა უფლისწულმა და ისევ გვერდით მოიჯდა.

– რა სიტყვა?

– როგორ არ გახსოვს, სადრუნჩე რომ შემპირდი ჩემი ბატკნისთვის. მე პასუხს ვაგებ იმ ყვავილზე.

ჯიბიდან ხელად ჩემი ნახატები ამოვიღე. პატარა უფლისწულმა დახედა იმ ნახატებს და გაიცინა:

– ეგ შენი ბაობაბები ცოტა კომბოსტოს მიაგვანან.

– დავიჯერო?!.

მე კი, მართალი გითხრათ, ძალიანაც ვამაყობდი ჩემი ბაობაბებით!

– შენს მელიას კი ყურების მაგივრად რქები ასხია! მერე ახლა რამსიგრძეებია!

და მან კვლავ გაიცინა.

– უსამართლო ყოფილხარ, მეგობარო. მე ხომ არცროდის ხატვა არ ვიცოდი. მარტო მახრჩობელა გველებს ვხატავდი გარედან და შიგნიდან.

– არა უშავს რა, – დამამშვიდა მან, – ბავშვები ისედაც გაიგებენ.

ავდექი და შეგულიანებულმა სადრუნჩე დავუხატე ბატკნისთვის. რომ გადავეცი გული შემეკუმშა.

– რაღაც განგიზრახავს და არ მეუბნები...

მაგრამ მან პასუხი არ გამცა.

ცოტა ხნის მერე კი ამოღერღა:

– იცი რა? ხვალ ერთი წელიწადი სრულდება, რაც მე თქვენთან დედამიწაზე მოვხვდი...

და გაჩუმდა. მერე ჩვეულებისამებრ დაწონა:

– აქედან სულ ახლოს დავეცი.

და წამოჭარხლდა.

ღმერთმა უწყის რატომ, მაგრამ ისევ უცნაური ნაღველი შემომაწვა გულზე. მაინც შევეკითხე:

– მაშ, ამ ერთი კვირის წინათ, იმ დილით, ერთმანეთი რომ გავიცანით. შემთხვევით არ დაეხეტებოდი არეარეზე მარტოდმარტო შუაგულ უდაბნოში, ადამიანის სამკვიდრებლიდან ათასი მილის დაშორებით? იმ ადგილას ბრუნდებოდი, სადაც მაშინ ჩამოვარდი?

პატარა უფლისწული კიდევ უფრო გაწითლდა.

(დასასრული იქნება)

დასასრული. დასაწყისი იხ. №231-238

ნავთობგაზის აქციები – ლონდონში, რკინიგზისა - შანხაიში...

„REUTERS"-ის ინტერვიუ დიმიტრი ქუმსიშვილთან

გავლენიანი ბრიტანული მედიასაშუალება „REUTERS"-ი, საქართველოს პირველ ვიცე-პრემიერ, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილთან ინტერვიუს აძვეყნებს, სადაც მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოში, საგადასახადო რეფორმის ფონზე პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 2017 წელს 1,64 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება.

„საქართველოს იმედი აქვს, რომ საგადასახადო რეფორმა 2017 წლისათვის ხელს შეუწყობს და 7-8%-ით გაზრდის პირდაპირ ინვესტიციებს ეკონომიკაში. შესაბამისად, განზრახულია ორი მსხვილი სახელმწიფო კომპანიის გაყიდვა საზღვარგარეთის ბირჟებზე, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა როიტერისათვის მიცემულ ინტერვიუში.

როგორც ფინანსური უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, მთავრობის მიერ დაგეგმილი ნაბიჯები მიმართულია ეკონომიკის განვითარების დაჩქარებისა და ზრდისაკენ. მან დაამატა, რომ ჯერჯერობით განზრახული არაა ევრობონდების მორიგი გამოშვება.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის – საქართველოს ეკონომიკა, რომელიც ექსპორტისა და ფულადი გადმორიცხვების შემცირების, ასევე რუსული რუბლის გაუფასურების გამო მნიშვნელოვნად დაზარალდა, 2016 წლის ათი თვის მონაცემების თანახმად, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში მიღწეულ ზრდასთან – 2,8%-თან შედარებით, მხოლოდ 2,5%-ით გაიზარდა.

საქართველოს მთავრობამ გასულ კვირაში შეამცირა ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2,7%-მდე, ადრინდელი 3%-ის ნაცვლად, თუმცა შენარჩუნდა 4,6-იანი ზრდის პროგნოზი 2017 წლისათვის.

„ჩვენ ვგეგმავთ, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე 1,64 მილიარდ დოლარამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოვიზიდოთ და, შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ 2017 წელს ეკონომიკის ზრდის 7-8%-ან მაჩვენებლს მივაღწევთ", – თქვა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში დაბანდებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 5%-ით გაიზარდა და 1 298 000 000 დოლარს მიაღწია.

მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, უცხოელ ინვესტორებს კაპიტალის დასაბანდებლად მნიშვნელოვან სტიმულს შესძენს როგორც ლიბერალური ქართული კანონმდებლობა, ასევე სამომავლოდ დაგეგმილი საგადასახადო რეფორმაც: „ინვესტორებს როცა ვესაუბრებით, ისინი გვეუბნებიან, რომ დაგეგმილი რეფორმა მათთვისაც მომგებიანი იქნება და საქართველოც დიდი უპირატესობით ისარგებლებს",– თქვა მინისტრმა.

2017 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში კომპანიების მიერ გაუნაწილებელი თუ რეინვესტირებული მოგებისთვის 15%-იანი გადასახადის ამოღება უნდა შეწყდეს. გადასახადი გადახდილი იქნება მხოლოდ განაწილებული მოგებისა და დივიდენდების მიხედვით.

მთავრობის წინასწარი გაანგარიშებით, საგადასახადო რეფორმის რეალიზების შედეგად, რომელიც ესტონურ მოდელს ეფუძნება, 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტს 500 მილიონი ლარი დაკლდება, მაგრამ ამ დანაკარგების კომპენსირება მოხდება აქციზის მომატებით თამბაქოს ნაწარმზე, ავტომობილებზე, ნავთობპროდუქტებზე და გადასახადით აზარტული თამაშების ბიზნესზე.

აღსანიშნავია, რომ რეფორმას საერთაშორისო სავალუტო ფონდი სკეპტიკურად აფასებს და მიიჩნევს, რომ მისი რეალიზებით საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 1,5%-ით შემცირდება, ბიუჯეტის დეფიციტი კი მოიმატებს.

„ჩვენ ასე არ ვთვლით. აქციზების მომატებით დანაკარგების კომპენსაცია მოხდება და დაახლოებით 500 მილიონი ლარი ისევ ქვეყნის ეკონომიკაში დარჩება", – ამბობს დიმიტრი ქუმსიშვილი, – „რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მაჩვენებელი მომავალ წელს, ამჟამინდელი 4,4%-ის ნაცვლად, 4,1%-მდე შემცირდება" – განაგრძობს ქვეყნის პირველი ვიცე-პრემიერი.

მინისტრის თქმით, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა დაგეგმილია საგარეო და საშინაო სესხების აღებით, პრივატიზებით და ა.შ.

დიმიტრი ქუმსიშვილმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ ქვეყნის მთავრობას დაგეგმილი აქვს საერთაშორისო ბირჟებზე გასაყიდად გაიტანოს როგორც საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის, ასევე საქართველოს სახელმწიფო რკინიგზის აქციების 25%-იანი პაკეტი:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნავთობგაზის კორპორაციის აქციებს ლონდონის ბირჟაზე გავიტანთ, ხოლო რკინიგზის აქციებს შანხაის ბირჟაზე განვათავსებთ. ამას მაშინ გავაკეთებთ, როცა მომგებიანი საბაზრო სიტუაცია იქნება... ვთქვათ, ერთი წლის, ან წლინახევრის შემდეგ", – აღნიშნა მინისტრმა „როიტერ"-ისათვის მიცემულ ინტერვიუში.

მოგვაწოდა
„ნიუსპრესმა"

შეძლებს ტრამპი სამხრეთ კავკასიური სიტუაციის შეცვლას?

აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს სხვადასხვანაირი მოლოდინი აქვთ

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში აშშ-ში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებს ყურადღებით აკვირდებოდნენ. 1991 წლის შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, სამხრეთ კავკასიისაკენ აშშ-ის ყურადღების მიპყრობას ყველა აქაური ქვეყანა თავისებურად ცდილობდა – სომხები ძლიერ სომხურ ლობს იყენებდნენ, საქართველო და აზერბაიჯანი კი სატრანზიტო გზების პოტენციალისა და ნავთობგაზის რესურსების რეკლამირებას ახდენდნენ. ამასთანავე, სამხრეთ კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მღელვარე და კონფლიქტური რეგიონია – შედარებით მცირე ტერიტორიაზე სამი ეთნიკური კონფლიქტი არსებობს – აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის.

2016 წელს სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფომ დამოუკიდებლობის 25 წლისთავი აღნიშნა. ამ ხნის განმავლობაში ხშირად წამოიჭრებოდა ხოლმე საკითხები, რომლებიც აშშ-ის მიერ გატარებულ სამხრეთკავკასიურ პოლიტიკაზე მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენდნენ ხოლმე: ირანის ინტერესები, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფრონტაცია, სომხეთ-თურქეთის პრობლემატიკა და სხვა.

აშშ-ის ოფიციალური პირების თქმით, მეოთხედი საუკუნის მანძილზე სამხრეთ კავკასიის მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკაზე გავლენას ძირითადად სამი პრობლემა ახდენდა: **პირველი – დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა, მეორე – ენერგეტიკა და მესამე – უსაფრთხოება.** ამ პრობლემების პრიორიტეტულობა იმის კვალობაზე იცვლებოდა, თუ რომელი ადმინისტრაცია იყო თეთრ სახლში: **ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს უპირატესობა ენერგეტიკას ჰქონდა** (კასპიის ზღვის ენერგეტიკული რესურსების დასავლეთში მილსადენებით გატანის უზრუნველყოფას), **ჯორჯ ბუშ-უმცროსის მმართველობის პერიოდში მეტი ყურადღება ექცეოდა უსაფრთხოებას** (2011 წლის ტერაქტების გამო), ხოლო **ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს აშშ რეგიონში ლიბერალურ-ინტერვენციანალისტურ პოლიტიკას ატარებდა** (ადამიანის უფლებებისა და საერთოდ, დემოკრატიის დაცვის კუთხით).

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ აშშ-ის მონაწილეობა რეგიონის საქმეების გადაწყვეტაში ბილ კლინტონის და ჯორჯ ბუშის მმართველობის დროს უფრო აქტიური იყო, ვიდრე ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში.

ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პირველ ვადაში თეთრი სახლი ყურადღებას აქცევდა ირანის შეკავებას და მეტ-ნაკლებად მხარს უჭერდა რუსეთის დონირებას რეგიონში. ამ პოლიტიკის არქიტექტორი ტროუბ ტელბოტი თვლიდა, რომ თუ რუსეთი შეიცვლებოდა, მაშინ ეს ცვლილება დადებით გავლენას მოახდენდა ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაზე. ასეთი პოლიტიკა 1996 წლამდე ტარდებოდა, შემდეგ კი ვაშინგტონმა კურსი შეცვალა – ბილ კლინტონმა აქტიურად დაუჭირა მხარი რეგიონულ ენერგეტიკულ პროექტებს ქვეყნების ერთმანეთთან ინტეგრაციისა და მათი სუვერენიტეტის განმტკიცების მიზნით. 1994 წლიდან სამივე რესპუბლიკა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" მონაწილე გახდა.

რაც შეეხება ირანს: საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში ვაშინგტონსა და თეირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობდა – უფრო მეტიც, ამერიკას ირანისათვის ეკონომიკური სანქციები ჰქონდა გამოცხადებული. თავის მხრივ, ირანი შეერთებულ შტატების სამხრეთკავკასიურ პოლიტიკას წინააღმდეგობას უწევდა და სომხეთთან, საქართველოსთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობის განვითარებას ცდილობდა. თუმცა, რადგანაც გეოპოლიტიკური კონფრონტაცია საკმაოდ სუსტი იყო, ბუნებრივია, ის ცხელ დაპირისპირებაში არ გადასულა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც სომხეთი, არც საქართველო და არც აზერბაიჯანი მაინცდამაინც არ ემხრობოდნენ ირანისადმი გამოცხადებულ ამერიკულ სანქციებს.

ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-აშშ-ის კონკურენციის დონე აშკარად გაიზარდა – ამის მიზეზი საქართველოსა და უკრაინაში „ფერადი რევოლუციები" გახდა (ეს ორი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა ყველაზე მეტად ისწრაფოდა ევროკავშირისა და ნატოსაკენ, რუსეთი კი ძალზე უარყოფითად იყო განწყობილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთისაკენ გაფართოების მიმართ).

ნატოს ბუქარესტის სამიტის დროს, 2008 წლის აპრილში, შეერთებულმა შტატებმა და პოლონეთმა ალიანსის წევრებს მოუწოდეს, რომ საქართველოსთვის „მაპ"-ი მიეცათ, თუმცა ამ წინადადებამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია იმავე ნატოს ზოგიერთ წევრში, კერძოდ, გერმანიამ და საფრანგეთმა უარი თქვეს იმ მოტივით, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი პრობლემები გააჩნდა ტერიტორიულ საკითხში – სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით. ამის გამო თბილისი „მაპ"-ის გარეშე დარჩა (სხვათა შორის, აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც ნატოს გაფართოების წინააღმდეგ გამოდის).

ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს აშშ-ირანის კონფრონტაციამ სამხრეთ კავკასია საკმაოდ დააზარალა. ვაშინგტონი შეეცადა რეგიონში თავისი ბაზები განელაგებინა, მაგრამ ადგილობრივმა ქვეყნებმა, საქართველომაც კი, ამ მცდელობას მხარი არ დაუჭირა. ბარაკ ობამას მმართველობის პერიოდში სიტუაცია შეიცვალა – ირანი დათანხმდა ბირთვული სამუშაოების შეჩერებას, სანაცვლოდ კი დასავლეთმა თეირანს ზოგიერთი სანქცია მოუხსნა. ამ ახალმა სიტუაციამ პოზიტიური გავლენა მოახდინა რეგიონული უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებასა და ირანის ურთიერთობაზე სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან (სხვათა შორის, დონალდ ტრამპმა ამ „ბირთვულ შეთანხმებას" „კატასტროფა" უწოდა და თქვა, რომ გარიგებას გააუქმებდა).

ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობის „გადატვირთვამ" სამხრეთ კავკასიის მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკაზე დიდი გავლენა მოახდინა, რაც რეგიონიდან „ამერიკის წასვლად" იქნა განხილული, მაგრამ მოგვიანებით „გადატვირთვის" პოლიტიკა შეიცვალა – აშშ-რუსეთის ურთიერთობა, უკრაინისა და სირიის მოვლენების გამო, კვლავ გაუარესდა. შესაბამისად, მოხდა რეგიონის ქვეყნების გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია: სომხეთმა უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე (2013 წელს) და ევრაზიულ კავშირის წევრი გახდა. აზერბაიჯანი მიუმხრობლობის მოძრაობის ორგანიზაციაში გაწევრიანდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ბაქო უარს ამბობდა რაიმე სამხედრო ბლოკში გაერთიანებაზე.

ამჟამად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანს აშშ-ის ახალი ადმინისტრაციისაგან მნიშვნელოვანი იმედები და მოლოდინები აქვთ, თუმცა აშკარაა, რომ დონალდ ტრამპს ჯერ კიდევ არა აქვს ნათლად გარკვეული თავისი დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მიმართ. გამორიცხული არაა, რომ ახალი პრეზიდენტის გუნდმა კიდევ უფრო შეამციროს აშშ-ის როლი და მონაწილეობა სამხრეთკავკასიურ პროცესებში, რაც, ზოგიერთი პოლიტოლოგის თვალსაზრისით, რეგიონულ დისბალანსს გამოიწვევს.

„The National interest" (აშშ)

საყოფაცხოვრებო სატანიზმი, ანუ ნარკომანიის ხიბლი

ერთი ახალი პოლიტიკური პარტია (ცენტრი!) საზოგადოებისთვის იმით გახდა ცნობილი, რომ ხელისუფლებას მოუწოდა: ახალი წლის ღამეს პირდაპირ ეთერში ჩვენ, დაახლოებით 180 მოხალისე, ვმართავთ მარიხუანის დათესვის აქციას და სამართალდამცავ სტრუქტურებს ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ ადამიანებზე რაიმე სახის ზეწოლა არ განხორციელდესო.

ცოდვის დაკანონების საზეიმო რიტუალი, როგორც ლგბტ-ს პარადების გამართვის მცდელობიდანაც ჩანს, საზოგადოების მორალური დათრგუნვისთვის გამიზნული ღონისძიებაა. თუ რიტუალმა პროტესტის გარეშე ჩაიარა, ბუნებრივია, აქციის ორგანიზატორებს სრული დემოკრატიული თავისუფლება ეძლევათ ცოდვის დემონსტრაციულად პროპაგანდისთვის. ფაქტობრივად, ისინი დემოკრატიული მმართველობის წესების გამოყენებით საზოგადოების ზნეობრივ ნაწილზე ძალადობასაც არ ერიდებიან. ისინი არა მარტო აკანონებენ ცოდვას, არამედ მთელი საზოგადოებისგან მის ოფიციალურად აღიარებას მოითხოვენ.

აბა, მოვუსმინოთ მარიხუანის მთესველებს: „ჩვენ ვართ ამ ქვეყნის ათასობით მოქალაქე, გვსურს, ვიცხოვროთ თავისუფალ ქვეყანაში, არ ვაყენებთ ზიანს არავის, არ ვაპირებთ არსად გადახვეწას და აღარ ვაპირებთ დამალვას“. — საერთოდ, ცნობილია, რომ ჰაშიში (მარიხუანის, ანუ კანაფის პროდუქტი) აჩლუნგებს მისი მომხმარებლის აზროვნებას და მოვლენათა ადეკვატურად აღქმის უნარს უკარგავს. მოტანილი ციტატაც ამის დასტურია, საიდანაც რამდენიმე ასპექტის გამოყოფა შეიძლება.

I. ისინი ანგარიშსაც ვერ უწევენ იმას, რომ ამ პატარა ქვეყნისთვის ათასობით ნარკომანის არსებობა არა საამაყო, არამედ ტრაგიკული და საბედისწერო მოვლენაა. II. მათთვის თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება არა ქრისტიანული ზნეობრივი კანონების დაცვას, არამედ ნარკოტიკების თავისუფლად ყიდვა-გაყიდვასა და მოხმარებას ნიშნავს. III. არ ვაყენებთ ზიანს არავისო. ამჯერად უშუალოდ თქვენ მოგმართავთ, მთესველებო: ნუთუ სხვის ტკივილს არასდროს შეუწუხებიხართ? თქვენს თავს „მოქალაქეს“ რომ უწოდებთ, საზოგადოების სხვა წევრთა აზრი რატომ არ გაინტერესებთ? ნუთუ თქვენი პატივცემული Ego იმდენად დიდებულია, რომ მის წინაშე ყველამ ქედი უნდა მოვიდრიკოთ? ბოლოს და ბოლოს, ირინოლა მაინც არ წაგიკითხავთ: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი“? — თუ კანაფით გაკაფულმა შენმა გონებამ და ეიფორიულმა ფილოსოფოსობამ მშობლებს გული გაუხეთქა, შვილებისა და ოჯახის მზრუნველობაზე ხელი აგაღებინა, სამშობლოს სიყვარული გაგიქარწყლა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისგან გაგათავისუფლა, მაშ, ზიანი არავისთვის მიგიყენებია?! IV. აღარ ვაპირებთ დამალვასო, რომ გვექადნებით, რა ვქნათ ახლა: მოგვაბოლეთ, მოგვაბოლეთო, — ვიძახოთ?! თუ, ისევე როგორც თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა დაიკავა ჩამწკრივებულმა ჩილიმ-დუქნებმა, მთელი ქვეყნის სახნავსათიბი მიწები კანაფისა და ყაყაჩოების პლანტაციებად გადავაქციოთ?

შექმნილმა მდგომარეობამ მაიძულა, ნარკომანიის პრობლემებით დაკავებული მედიკოსებისა და მოძღვრების შეხედულებანი შემესწავლა და მკითხველამდე მიმეტანა ის სასარგებლო ცოდნა, რომელიც სპეციალისტებმა გამოცდილებითა და ხანგრძლივი დაკვირვებით შეიძინეს. განსაკუთრებით გამოვყოფდით რუსეთის ეკლესიის მღვდელმსახურთა საქმიანობას, რომელნიც თავიანთი სარეაბილიტაციო პროგრამების მეშვეობით გასაოცარ შედეგებს აღწევენ.

თანამედროვე საერთაშორისო ტერმინოლოგიის მიხედვით, ნარკომანია არის დაავადება, რომელიც ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მოხმარების შედეგად ვითარდება, მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიის თვალსაზრისით, **ნარკომანია არის ცოდვა** და მას ავადმყოფობა მხოლოდ იმ გაგებით შეიძლება ეწოდოს, რომ იგი ცოდვიანი ცხოვრების შედეგს წარმოადგენს. ყოველ სნეულებას, ადამიანის ნებელობის ჩარევის გარეშე, შესაბამისი მიკროორგანიზმები იწვევენ, ხოლო ნარკომანი სნეულდება, ანუ ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებული ხდება, საკუთარი ნებიდან გამომდინარე. ნარკოტიკის საშუალებით საღი აზროვნების ხელოვნურად გარდაქმნა და მხიარული განწყობილებისა და კმაყოფილების გრძნობის არაბუნებრივად წარმოქმნა, რომელსაც ფიზიოლოგიურ ორგანოთა გადაგვარებისა და მოსპობის თანამდევი პროცესებიც ახლავს, ადამიანის რეალური სახის, ანუ ღმრთის ხატად შექმნილი პიროვნების სულიერ და ხორციელ თვისებათა დამახინჯებას ნიშნავს.

ესა თუ ის ავადმყოფობა, მიუხედავად პაციენტის მცდელობისა, შეიძლება ან განიკურნოს, ან არა, ხოლო ნარკოტიკისგან განთავისუფლება თვით ადამიანის ნების სიმტკიცეზეა დამოკიდებული. თუმცა აქ ღმრთის მადლის თანამოქმედებაც უნდა ვიგულისხმოთ, რადგან, როგორც წმიდა მამები გვასწავლიან, რაიმე ვნებით შეპყრობილი ადამიანი მონაა ამავე ვნებისა და მასთან შებრძოლება



დამოუკიდებლად არ ძალუძს, მაგრამ თუ იგი შემწეობისთვის ყოვლის შემძლე მკურნალს — ღმერთს მიმართავს, მაშინ უფლის წყალობაც არ აყოვნებს. ამიტომ, სპეციალისტთა დაკვირვებით, სარწმუნოებისადმი სკეპტიკურად განწყობილი ნარკომანები მონასტრებთან არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრებს თავს არიდებენ და ვერც იკურნებიან.

მედიცინას ნარკომანიასთან საბრძოლველად ძალა არ შესწევს. მას შეუძლია მხოლოდ ოდნავ გამოაკეთოს ორგანიზმი, რადგან ნარკომანიისგან განკურნება სულიერ საშუალებებს საჭიროებს. სულიერმა მოძღვარმა უნდა აიძულოს ავადმყოფი, რომ თავის საკვალალო მდგომარეობაზე დაფიქრდეს. მან უნდა შეძლოს ახსნა, რომ **ნარკომანია „საყოფაცხოვრებო სატანიზმია“, ანუ სატანის მორჩილებაა რიტუალური მსახურების გარეშე,** და განკურნების ერთადერთი გზა — ეს არის ღმრთისკენ მოქცევა და რადიკალურად შეცვლა ცხოვრების წესისა. მხოლოდ მოქცეულ ადამიანს შეუძლია გაცნობიერება იმ საშიშროებისა, რაც უფლისგან გაუცხოებას მოსდევს.

ბევრს სმენია, რომ ბიბლია ადამისა და ევას ცოდვით დაცემაზე მოგვითხრობს. იმ ნაყოფის შესახებ კი, რომელიც ეშმაკმა ევას მისცა, ხოლო ევამ შემდეგ ადამს გადასცა, ნათქვამია, რომ იგი საჭმელადაც გემრიელი და შესახედავადაც ლამაზი იყო. მაგრამ შედეგი ამ ნაყოფით ცდუნებისა, როგორც ვიცით, ფრიად საკვალალო აღმოჩნდა — მან სნეულებანი და სიკვდილი გამოიწვია. ნებისმიერი სახის ცოდვაზეც იგივე შეიძლება ითქვას. ნარკოტიკს, ალკოჰოლს ან სიგარეტს თავიდან ბევრს არავინ მოიხმარს, მაგრამ უფრო მეტი სიამოვნების მისაღებად დოზას თანდათან ზრდიან. ნიშანდობლივი ისაა, რომ ცოდვით განცდილი პირველი ტკბობის ხსოვნა ადამიანს არასდროს ტოვებს.

სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ადამიანი შესაძლოა, სიკვდილის სარეცელზეც იწვეს და აუტანელ ტკივილებსაც განიცდიდეს, მაგრამ მაინც იზიდავდეს ტკბობა, რომელიც მან აკრძალული ნაყოფის გასინჯვის დროს განიცადა. ფსიქოლოგიაში არსებობს რენოს კანონი, რომლის თანახმად ადამიანის მეხსიერება ბოლოდან თავისუფლდება: მას შეიძლება არ ახსოვდეს სამი დღის წინანდელი ამბავი, მაგრამ თავის ახალგაზრდობას ძალიან კარგად იხსენებდეს. ამიტომ ნარკომანებს თანდათან ავიწყდებათ საშინელი შედეგები ამ ცოდვისა, ხოლო ცოდვიანი ტკბობა კვლავ ძლიერ იზიდავთ.

სწორედ ეს არის ყველაზე ძნელად გადასალახავი წინაღობა იმ გზაზე, რომელსაც ვნებისგან განკურნების მსურველნი ადგებიან. მაგრამ, რაც შეუძლებელია კაცთათვის, ის შესაძლებელია ღმრთის შემწეობით. ამიტომ ცოდვის მოძულებას ის შეძლებს, ვინც ღმერთს შეიყვარებს.

P.S. სულიერ დეგრადაციასთან ერთად სასაუბრო ენაში ფეხს იკიდებს ზოგიერთი ჟარგონული სიტყვა, რომელსაც საზოგადოება ზოგჯერ ვერც აცნობიერებს. მაგალითად, დღევანდელ მეტყველებაში ასე გავრცელებული სიტყვა „დაბოლება“ ნარკომანული სლენგია და ჰაშიშის მოწევით გამოწვეულ თრობას ნიშნავს. სწორედ ამ მავნე პრაქტიკით უნდა იყოს მოტივირებული ის თვალსაზრისიც, რომ ახალგაზრდების ეკლესიისკენ მოსაქცევად მათი ინტერესებით უნდა განვიმსჭვალოთ და მათსავე ენაზე ვისაუბროთ. ცნობილია, რომ ნარკომანები ერთმანეთს თავიანთი სლენგით მიმართავენ.

შესაძლოა, ჟარგონული სიტყვა აზრობრივად მართლაც ზუსტი იყოს, მაგრამ თითოეული სიტყვა გარკვეული ენერგეტიკული მუხტის შემცველია. ამიტომ ნარკომანული სლენგისა და მასთან დაკავშირებული იდიომატური გამონათქვამების გამოყენების შემთხვევაში ჩვენც ვხდებით თანამონაწილენი იმ ნეოლოგიზმების დამკვიდრებისა, რომელსაც ნარკოტიკების მომხმარებელნი დემონური ძალების ზემოქმედებით, ანუ ეიფორიული გრძნობების მიხედვით ქმნიან. ამდენად, როგორც ვთქვით, ნარკომანული სლენგი მის გამომგონებელთა გრძნობებს შეიძლება ზუსტად კი ასახავდეს, მაგრამ იგი პრინციპულად მოჩვენებითია და ობიექტურ მდგომარეობას არ შეესაბამება.

ასე რომ, ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანი, რომელიც ჯანმრთელობის აღსადგენად ნაბიჯს დგამს, მკურნალისგან, მით უმეტეს მართლმადიდებელი მღვდელმსახურისგან, არა სლენგზე საუბარს, არამედ გულწრფელ თანადგომას ელის. ამ ადამიანების ყველაზე დიდ უბედურებად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ თავიანთ ცხოვრებაში მაღალი სულიერების მაგალითებს ვერ ხედავენ. ამიტომ მათთან მუშაობის დროს ექიმსაც და მოძღვარსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება მოეთხოვება.

ყველას უნდა ახსოვდეს: **ნარკოტიკის გასინჯვა ნიშნავს, რომ ადამიანი დამოკიდებული ხდება მასზე**; ანუ უნებისყოფო ადამიანისთვის იმდენად მიმზიდველია ხელოვნურად წარმოქმნილი კმაყოფილება, რომ იგი ბორტ სულს, რომელმაც ზემოქმედება მოახდინა მასზე, ნარკოტიკის სანაცვლოდ თავის სულიერ და ხორციელ ჯანმრთელობასაც სწირავს. ამასთანავე, უნდა ვიცოდეთ: ყველა სახის, მათ შორის, ახლახან გამოგონილი სინთეტიკური ნარკოტიკიც ერთნაირად მომაკვდინებელია.

ბოლო დროს ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე გაისმა ფრაზა, რომ ნარკომანიას თანდათან კომპიუტერული ოკულტიზმი ჩაანაცვლებს. იგულისხმება კომპიუტერული თამაშები, რომელნიც ბოროტებისადმი შეგნებულ თაყვანისცემას უწყობენ ხელს. როგორც ჩანს, მაცდუნებელ საშუალებათა არეალი ფართოვდება და, შესაბამისად, ჩვენც მეტი სიფრთხილის, სიფხიზლისა და გონიერების გამოჩენა გვმართებს.

გრიგოლ რუხაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ჟურნალ „სამი საუნჯის“ რედაქტორი.

დათა ახალაიას — 12 წელი, „მასტერას“ — 9...

ნავთლუღის სპეცოპერაციის განაჩენი

ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა. დათა ახალაიას 12 წლით, გია დგებუაძეს, იგივე „მასტერას“ კი, 9-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დათა ახალაია დამნაშავედ ცნეს განზრახ მკვლელობის მუხლით, დგებუაძე კი — განზრახ მკვლელობის თანამონაწილედ და უფლებამოსილების გადამეტებაში.

კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსნებს გამოძიება განზრახ მკვლელობასა და უფლებამოსილების გადამეტებას ედავება. დათა ახალაია უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებაში გამართალდა.

მაია და გუკა რჩეულიშვილები პატიმრობაში რჩებიან

სასამართლომ **გუკა რჩეულიშვილი პატიმრობაში დატოვა. მისი ადვოკატი რჩეულიშვილის გათავისუფლებას გირაოს — 150 ათასი ლარის სანაცვლოდ ითხოვდა, თუმცა შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.**

სასამართლომ პატიმრობაში დატოვა მაია რჩეულიშვილიც

დააკავეს ნარკორეალიზატორი

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა.ტ., დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით, ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ა.ტ. მის დროებით საცხოვრებელ ბინაში იმ დროს დააკავეს, როდესაც მოქალაქეს 199 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“ 2400 ლარად მიჰყიდა.

პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 10 აბი „ექსტაზი“ და 3 აბი „მდმა“ ამოიღო. ასევე, ნივთმტკიცებადაა ამოღებული ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა და 40 აბი „ექსტაზი“.

საერთო ჯამში, სამართალდამცველებმა დაკავებულისგან 252 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა.

◎ ხელბურთი

დაწინაურდნენ ჩემპიონები

ტრადიციულად, რვა გუნდი ჩაება საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა 2016-2017 წლების ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გათამაშებაში. დასავლეთ ზონაში პირველი წრის მატჩები ამას წინათ ზესტაფონში გამართეს საქართველოს ჩემპიონმა ბათუმის „შავი ზღვის ბიჭებმა“, „სამტრედიამ“, „ქუთაისმა“ და წყალტუბოს „პრომეთემ“ („წყალტუბო“ — „ბათუმი“ 24:56, „ქუთაისი“ — „სამტრედია“ 29:28, „ბათუმი“ — „ქუთაისი“ 34:30, „სამტრედია“ — „წყალტუბო“ 52:38, „ქუთაისი“ — „წყალტუბო“ 49:35, „ბათუმი“ — „სამტრედია“ 44:30).

აღმოსავლეთ ზონის ოთხი გუნდი (სტუ-„ქარიშხალა“, „გორი“, თბილისის „პეგასი“ და თელავის „იმედი“) თბილისში შეიკრიბა და სასპორტო კლუბ „არენის“ დარბაზში სამ-სამი პაექრობა ჩაატარა. წინა ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ახალ სეზონში თბილისის მეორე კლუბ „ქარიშხალას“ შეუერთდა, ხოლო „იმედმა“ რამდენიმე ახალი მოთამაშე დაიმატა და გაძლიერდა. ამის მიუხედავად, ასპარეზობის პირველ დღეს სტუდენტებმა მაინც აჯობეს „იმედს“ — 25:21, „პეგასმა“ კი იოლად მოუგო (56:39) უმაღლესი ლიგის დებიუტანტ გორის გუნდს, რომელსაც ორი წამყვანი მოთამაშე აკლდა.

წლეულს თბილისის „პეგასიდან“ ეროვნული ნაკრების 20 წლის მეკარე ზურაბ ცინცაძე თელავის „იმედში“ გადავიდა, სადაც თავის დროზე დაიწყო ვარჯიში. „იმედი“ — „პეგასის“ პაექრობაში სწორედ ის იყო მატჩის საუკეთესო მოთამაშე - ყოფილი თანაგუნდელებისგან დარტყმული უამრავი ბურთი მოიგერია, რამაც განაპირობა კიდეც თელაველთა წარმატება — 38:27. სტუ — „ქარიშხალამ“ ასპარეზობის მეორე დღეს გათამაშების ცხრილში მეორე გამარჯვება ჩაიწერა — გორის გუნდს აჯობა 43:35.

მესამე ტურში დაძაბული და დრამატული გამოდგა „პეგასისა“ და სტუ — „ქარიშხალას“ პაექრობა. თავიდან „პეგასი“ დაწინაურდა — 3:1, მაგრამ მალევე სტუდენტებმა წინ გასვლა მოახერხეს, ტაიმი კი შვიდი ბურთის სხვაობით (23:16) მოიგეს. შესვენების შემდეგ პეგასელებმა იყოჩაღეს და მატჩი ფრედ — 30:30 დაამთავრეს. გორელებს „იმედთან“ ორთაბრძოლისას ახალგაზრდული ნაკრების წევრი გიორგი ტიელიძე დაემატათ, მაგრამ შიდაქართლელებმა თელაველებთან ვერაფერი გააწყვეს და 9 ბურთის სხვაობით დამარცხდნენ — 35:44.

სამი ტურის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: საქართველოს ჩემპიონი ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“ — 6 (134:84), სტუ-ქარიშხალა — 5 (98:86), თელავის „იმედი“ — 4 (103:87), „ქუთაისი“ — 4 (108:97), „პეგასი“ — 3 (113:107), „სამტრედია“ — 2 (110:111), „გორი“ — 0 (109:143), „წყალტუბო“ — 0 (97:157) ქულა.

2017 წლის იანვარში ვაჟთა გუნდები საქართველოს თასს გაითამაშებენ, ხოლო ჩემპიონატი თებერვალში გაგრძელდება — რვავე გუნდი თბილისში შეიკრიბება და პირველ წრეს აქვე დასრულებს. სამწრიანი რეგულარული ტურნირის შემდეგ საუკეთესო კვარტეტი ფინალური ოთხეულის ფორმატით მაისში საქართველოს ჩემპიონს გამოავლენს.

ლაშა დიდია

◎ საფეხბურთო მოზაიკა

ტრანსფერი რეალურია

დავით ხოჭოლავა, შესაძლოა, დონეცკის „შახტარის“ ფეხბურთელი გახდეს. როგორც შევიტყვეთ, ოდესის „ჩერნომორეცის“ ქართველი მცველით რუსული „როსტოვიც“ არის დანტერესებული, მაგრამ ხოჭოლავასთვის „შახტარის“ ვარიანტი პრიორიტეტულია.

წესით, ყველაფერი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს.

ხოჭოლავა შარშან ქობულეთის „შუქურადან“ გადავიდა „ჩერნომორეცში“, სადაც მშვენივრად წარმოაჩინა თავი და უკრაინის პრემიერლიგის სიმბოლურ ნაკრებშიც არაერთხელ მოხვდა.

„შახტარი“ უკრაინის საუკეთესო გუნდია, ამ სეზონში თითქმის უკონკურენციოა და, თქმა არ უნდა, დიდი წინსვლა იქნება „ჩერნომორეციდან“ დონეცკურ კლუბში გადასვლა.

დამნაშავეა პილოტი

ბრაზილიური „შაპეკოენსეს“ ავიაკატასტროფაში დამნაშავეები გამოავლინეს: ბოლივიური ავიაკომპანია „ლამია“ და პილოტი მიგელ კიროგა.

გამოძიების შემდეგ დადგინდა, რომ პილოტს საკმარისი კვალიფიკაცია არ გააჩნდა. მას დაგეგმილი მარშრუტისთვის გადაუხვევია, რის გამოც თვითმფრინავს საწვავი აღარ ეყო და კოლუმბიის ქალაქ მედელინის სიახლოვეს კატასტროფა განიცადა.

გამოძიების დროს დააკავეს ავიაკომპანია „ლამიას“ ხელმძღვანელი, რადგან მან ნებართვა მისცა მიგელ კიროგას, მსგავს ავიარეისებს გაძღოლოდა.

შეგახსენებთ, ავიაკატასტროფის შედეგად 71 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის „შაპეკოენსეს“ 19 ფეხბურთელი.

ვაკსი პისტოლეტით დაჭრეს

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე დრეზდენის „დინამოს“ მცველი მარკ ვაკსი ვისბადენში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. როგორც გამოცემა Bild-ი იტყობინება, 21 წლის ფეხბურთელი მისი დეიდის მფლობელობაში არსებულ მაღაზიასთან იმყოფებოდა, რა დროსაც ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა სროლა დაიწყო. ვაკსის დეიდა ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მისი მეუღლე და ფეხბურთელი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია ჩაუტარდათ და ამჟამად მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

„მომხდარით შოკირებულები ვართ. „დინამოს“ მთელი პერსონალი თანადგომას უცხადებს ფეხბურთელს და ყველანი მის გვერდით ვართ. ახლა მთავარი დაჭრილთა გამოჯანმრთელებაა. თანავუგრძნობთ მარკს და მის ოჯახს“ — აცხადებს „დინამოს“ სპორტული დირექტორი რალფ მინგი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მატეგა

აზარენკა დედა გახდა

მსოფლიოს ყოფილი ნომერ პირველი ჩოგბურთელი, ბელარუსი ვიქტორია აზარენკა დედა გახდა. აღნიშნულ ინფორმაციას თავად ვიკა ავრცელებს და მცირე კომენტარსაც აკეთებს.

„დღეს ძალიან მძიმე ბრძოლა მქონდა. ჩემი ბიჭი დაიბადა ჯანმრთელი და ბედნიერი, დიდი მადლობა ყველას.“ — განაცხადა აზარენკამ.

შეგახსენებთ, რომ ვიკას ორსულობის გამო ბოლო 10 თვეა აღარ უთამაშია და, როგორც ადრე განაცხადა, კორტს 2017 წელს დაუბრუნდება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ უმაღლესი სკოლა

ტრადიციის ერთგულნი

პრესის, მათ შორის ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ აღნიშნულა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (რექტორი — პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი — ზაურ ფხალაძე, საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი — ამავე ცენტრის თანამშრომელი, შიდასაუნივერსიტეტო ტურნირების მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ ბაქანიძე, სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის მიმართულების ხელმძღვანელი სოლომონ ერგემლიძე) ღვაწლმოსილ ფეხბურთელთა დაფასების მხრივ გამორჩეულია უმაღლეს სასწავლებელთა შორის.

ტრადიცია გრძელდება — ამჯერად ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა დინამოელთა ლეგენდარული თაობის ლიდერის დავით ყიფიანის მემორიალი 10 გუნდის მონაწილეობით, რომელიც მის 65 წლის იუბილეს მიეძღვნა.

გაუწყებთ გადამწყვეტი შეხვედრების შედეგებს:

ნახევარფინალები. „ერაყი“ — „ბარსა“ 5:4, „მედიცინა“ — „სიტი“ 8:4.

ფინალი. „მედიცინა“ — „ერაყი“ 4:2.

მესამე ადგილი „ბარსამ“ დაიკავა.

ინდივიდუალური პრიზებით — თასებით, მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ ცალკეულ ნომინაციებში გამარჯვებულნი:

საუკეთესო მეკარე — ლუკა გვენეტაძე (მედიცინის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი),

ყველაზე ტექნიკური მოთამაშე — აჰმედ ენსაიფ — ერაყი (უცხოენოვანი მედიცინის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი),

ბომბარდირი — ავთანდილ ჩავლეიშვილი (12 გოლი, მედიცინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი),

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე — იოსებ გიოშვილი (ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი).

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

როგორ დასჯიან დუდუს?

წესებში წერია: 2 კვირიდან 1 წლამდე...

ეპკრ-მ, ანუ ევროპის პროფესიულმა საკლუბო რაგბიმ, რომელიც ევროპული საკლუბო ტურნირების ჩატარებაზეა პასუხისმგებელი, დისციპლინარული კომიტეტის სიახლეები გამოაქვეყნა.

სადისციპლინო ამბები, უპირველესად, დუდუ ქუბრიაშვილის გამო გვაინტერესებს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ ბურჯმა ევროპის ჩემპიონთა თასის მატჩში წითელი ბარათი მიიღო. ეს მე-3 ტურში, 11 დეკემბერს, „კასტრთან“ შეხვედრისას მოხდა - ქუბრიაშვილი რაქში მეტისმეტად აგრესიულად შევიდა და ოპონენტს თავში მხარი ჩაარტყა. ინგლისელმა რეფერიმ ბენ უაითჰაუსმა დუდუ მინდვრიდან წითელი ბარათით მიაბრძანა, ხოლო ჩემპიონთა თასისა და ჩელენჯ თასის მე-3 და მე-4 ტურში მომხდარი ინციდენტების განხილვა და ვერდიქტების გამოტანა ლონდონში მოხდება.

დუდუ ქუბრიაშვილის საქმე არცთუ მარტივადაა. გაარჩია, როგორ კვალიფიკაციას მიანიჭებენ მის მიერ ჩადენილ საქციელს. წესი 10.4 (რ)-ის თანახმად, მორაგბე, რომელიც რაქში ან მოლში ხელების დაუხმარებლად ან მეტოქის ბოჭვის გარეშე შევა, წესების დარღვევის ჩადენის დღიდან ისჯება: მსუბუქად (2 კვირით თამაშის აკრძალვით), საშუალოდ (5 კვირით) ან მკაცრად (10-დან 52 კვირამდე). ეს ნიშნავს, რომ დუდუ ქუბრიაშვილს თამაში სულ ცოტა 25 დეკემბრამდე აკრძალული აქვს, დანარჩენი კი დისციპლინარების განწყობასა და კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.

კოგა კოგახიძე

◎ აშკარა და დაფარული

სიცრუის დეტექტორი



პოლიგრაფზე შემოწმებას არა მარტო დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილები გადიან: ბოლო წლებში ამ ზომას ზოგიერთ ფირმაში სამსახურში მიღებისას მიმართავენ, ზოგჯერ კი სამრეწველო ჯაშუშობის ფაქტის გამოკვლევისას იყენებენ. მაგრამ, ისმება კითხვა: რამდენად შეესაბამება მიღებული შედეგები ჭეშმარიტებას?

ოდესღაც მთავარი სპეციალისტი-პოლიგრაფოლოგები ქურუმები და შამანები იყვნენ, რომელთა ერთ-ერთი მოვალეობა მატყუარების გამოვლენა და სიმართლის დადგენა იყო. ამისათვის კი უძველესი კულტების მსახურთ უზადო სმენა და საუცხოო ყნოსვა სჭირდებოდათ. მაგალითად, ინდოეთში, იმის დასადგენად, კაცი სიმართლეს ამბობს თუ ცრუობს, ყოველ კითხვაზე პასუხის დროს გამოსაცდელს გონგს შემოაკვრევინებდნენ ხოლმე. ითვლებოდა, რომ მატყუარები უფრო ცუდად აკონტროლებენ დარტყმის ძალას და გონგი უფრო დიდ ხმას გამოსცემს. აფრიკულ ტომებში შამანები ყნოსავდნენ ეჭვმიტანილებს: საეჭვოა ოფლის მკვეთრი სუნი — მღელვარების გამო ოფლდენა ძლიერდება.

ჩინეთში ეჭვმიტანილს პირში მუჭა მშრალ ბრინჯს უდებდნენ და ბრალდებას უკითხავდნენ. შემდეგ გამოსაცდელი ბრინჯს აფურთხებდა, მოსამართლე კი აკვირდებოდა, ის მშრალი დარჩა თუ დაინამა. საქმე ისაა, რომ ცისქვეშეთის დაკვირვებულმა სამართალდამცველებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ მღელვარება კაცს პირს უშრობს. ამაში ჩინელებს სავსებით ეთანხმებოდნენ არაბები, ოღონდ ბრინჯის მაგივრად ისინი გავარვარებულ ხმალზე ენის ასმას უბრძანებდნენ. თუკი კაცს ენა ეწვებოდა, მას მატყუარად აცხადებდნენ, მიჩნეული იყო, პირში ნერწყვის დიდი ოდენობა ენის ნაზ კანს გავარვარებული რკინისგან დაიცავს.

თანამედროვე პოლიგრაფის „პაპა“ კი იტალიელმა ფსიქიატრმა ჩეზარე ლომბროზომ შექმნა, რომელმაც პირველმა მოიფიქრა ტყუილის გამოცნობა ეჭვმიტანილის პულსის სიხშირის ცვალებადობით. დროთა განმავლობაში სიცრუის დეტექტორები უფრო სრულყვეს და ამჟამად მათ არა მარტო გულისცემის სიხშირის, არამედ სუნთქვის, სმენის აქტივობის, ოფლის გამოყოფის ინტენსივობის, კიდურების კანკალისა და სხვა — მთლიანად დაახლოებით 50 — ფიზიოლოგიური პარამეტრის დაფიქსირება შეუძლიათ.

მაგრამ, საინტერესოა, რამდენად სანდოა პოლიგრაფის მონაცემები? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ჯერჯერობით მიღებული არ არის. საქმე ის არის, რომ ძალიან ბევრი რამ გამოსაცდელთა ფსიქოლოგიასა და ტესტის ჩამტარებელი სპეციალისტის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული: იმის მიუხედავად, რომ ხელსაწყოს „სიცრუის დეტექტორი“ ეწოდება, მას სიცრუის გამოცნობა არ შეუძლია. ის მხოლოდ ეჭვმიტანილის შეშფოთების ხარისხს ზომავს, არადა, სავსებით ბუნებრივია, რომ ყოველი ადამიანი სტრესზე თავისებურად რეაგირებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც შედეგების ინტერპრეტირების მკაცრი პარამეტრები არსებობს და თითოეული პოლიგრაფოლოგი ხელსაწყოს ჩვენებებს საკუთარი ცოდნისა და ჩვევებიდან გამომდინარე აფასებს. ამიტომაცაა, რომ პოლიგრაფზე შემოწმებას შეუძლია მცდარი შედეგის მოცემა.

შეიძლება თუ არა პოლიგრაფის მოტყუება? თავდაპირველად საჭიროა მისი მუშაობის პრინციპის გაგება. შემოწმებისას გამოსაცდელ პირს რიგ შეკითხვას, მათ შორის სრულიად ნეიტრალურს, უსვამენ. ეს კითხვები გამოსაცდელს თავდაპირველი რეაქციების დასადგენად და იმის გასაგებადაა საჭირო, თუ როგორ იცვლებიან ისინი მღელვარების დროს. მიჩნეულია, რომ ეშმაკური ხელსაწყოსთვის „თავგზის“ აბნევა, მართალია, ძნელია, მაგრამ სავსებით შესაძლებელი. მაგალითად, ზოგიერთი მატყუარა აცხადებს, რომ როცა კაცი ტყუილის თქმას აპირებს, მან წინასწარ კუნთები უნდა დაძაბოს, რისთვისაც ფეხის ცერა თითები იატაკს უნდა დააჭიროს, მოკუმშოს ანალური სფინქტერის კუნთები და დროდადრო ენის წვერზე იკბინოს.

შემოწმების შედეგები არასწორი იქნება იმ შემთხვევაშიც, თუკი გამოსაცდელი წინა დღით გარკვეულ, მაგალითად, გულის რიტმის შემცვლელ ან დამამშვიდებელ წამლებს მიიღებს, მართალია, პოლიგრაფოლოგები ირწმუნებიან, რომ გამოცდილი სპეციალისტი ყველა ამ ხრიკს მაინც გამოიცნობს, მაგრამ დანამდვილებით ასეა ეს თუ არა, ჯერჯერობით მაინც უცნობია.

ოთარ ტურაბელიძე

საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ჩოხოსანი რაინდის, პროფესორ ილო პატაშურის ძმის, ხალხური ეროვნული შემოქმედების ღირსეული წევრის

გივი ვასილის ძე პატაშურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ვიტალი ხაზარაძე და მეუღლე ფატმან ნიჟარაძე დიდ მწუხარებას გამოთქვამენ თამრიკო და მირზა ქორქაშვილების დედისა და სიდედრის

ირა ქუთათელაძე-ცაგარეიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

1991 წლის 21 დეკემბერს საბჭოთა კავშირი გაუქმდა

21 დეკემბერი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის დღეა. 22 წლის წინათ, 1991 წლის 21 დეკემბერს, ალმა-ათის დეკლარაციით, საბჭოთა კავშირი გაუქმდა. საბოლოოდ კი, ფორმალურად, სსრკ 26 დეკემბერს, უზენაესი საბჭოს სხდომაზე დაიშალა.

ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში ახალი სახელით გაფორმდა რუსეთის იმპერია: სსრ კავშირის მემკვიდრე გახდა ე. წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომლის შემადგენლობაში არ შევიდნენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და საქართველო.

მანამდე, 1991 წლის 8 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკების ლიდერები, რომლებიც გაეროს დამფუძნებელი წევრები იყვნენ, ანუ რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის — შეიკრიბნენ ბელორუსიაში, ბელოვეჟში და ხელი მოაწერეს „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ)“ შექმნის ხელშეკრულებას.

დსთ-ის შემადგენლობაში ამჟამად შედიან რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი. ასოცირებული წევრია თურქმენეთი. საქართველოს დსთ-იდან 2009 წლის 18 აგვისტოს ოფიციალურად გამოვიდა.

საბჭოთა კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს დაარსდა.

„პაშა ბანკის“ ორიგინალური საჩუქარი

„პაშა ბანკმა“ ამჯერადასაც გამორჩეულად მიულოცა საახალწლო დღესასწაული პარტნიორებს და მათი სახელით 2017 ძირი ქართული ფიჭვის ნერგი დარგო. აღნიშნული ნერგები ბორჯომის მახლობლად 2008 წლის აგვისტოში დამწვარი 260 ჰექტარი ტყის აღდგენითი სამუშაოების ფარგლებში დაირგო.

„ჩვენი პარტნიორებისთვის გამართულ წინასაახალწლო მიღებაზე განვაცხადეთ, რომ 2017 წელს განსაკუთრებულ ყურადღებას „მწვანე“ პროექტებს დავუთმობთ. მომავალი წლისთვის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გარემოსთვის სასარგებლო არაერთ აქტივობას ვგეგმავთ. ამ ეტაპზე, სიხარულით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პარტნიორებისთვის 2,000 სახელობითი ხე დავრგეთ, რასაც სიმბოლურად კიდევ 17 დავუმატეთ. მინდა, ვისარგებლო შესაძლებლობით და გისურვოთ ბედნიერი, მშვიდობიანი და ჯანმრთელი ახალი 2017 წელი,“ —განაცხადა „პაშა ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ შაჰინ მამმადოვმა.

„იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პარტნიორები საახალწლო საჩუქრით კმაყოფილი დარჩებიან. ამ პროექტის შედეგად, თითოეულ მათგანს აქვს მონაწილეობა მიღებული ულამაზესი ტყის რეაბილიტაციაში. პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა კომპანია „Treepex“, რომელიც აქტიურად მუშაობს „მწვანე“ პროექტების მიმართულებით და ბევრი უკვე იყენებს მათ სპეციალურ აპლიკაციას ხეების დასარგავად“, — თქვა „პაშა ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსმა ანანო ქორქიამ.

შარშან „პაშა ბანკმა“ პარტნიორებს საახალწლოდ რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატის ხელმოწერილი ასლები აჩუქა. ნახატის დედანი კი საქველმოქმედო ფონდ „პირველ ნაბიჯ საქართველოს“ გადაეცა.

სანთელი

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ჟურნალისტის, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელი რედაქტორის

რუსლან რუსიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ნოდარ ემუხვარი ოჯახით მწუხარებით იუწყება უკეთილშობილესი პიროვნების, შესანიშნავი ჟურნალისტისა და უღალატო მეგობრის

რუსლან რუსიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დარეჯან ელიაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბავშვობის უახლოესი მეგობრის, აბაშის ღირსეული შვილის, ჭეშმარიტი ქართველის

რუსლან რუსიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მეუღლეს, შვილებსა და ახლო ნათესავებს.

გურამ ახალაია ოჯახით მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, გამოჩენილი ჟურნალისტისა და რედაქტორის, მრავალი პრემიის ლაურეატის, თავმდაბალი, ზნეკეთილი და შესანატრი პიროვნების

რუსლან რუსიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და დიდ სამეგობროს.

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელი რედაქტორის, გამორჩეული პროფესიონალისა და პიროვნების, ბატონ

რუსლან რუსიას

გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს გაზეთის მთელ კოლექტივს, განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეანგინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ცნობილი ქართველი ჟურნალისტის

რუსლან რუსიას

უდროოდ გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, განსვენებულის ოჯახს და ბატონ რუსლან რუსიას მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელს.

ღირსების ორდენი ქეთი მელუას!



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქეთი მელუასა და გორის ქალთა გუნდის ევროპული ტურნეს დასკვნით კონცერტს დაესწრო.

ქეთი მელუამ და გორის კამერულმა გუნდმა ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი კომპოზიციები შეასრულეს.

კონცერტის დასრულების შემდეგ გიორგი აბაშიშვილმა საქართველოს პრეზიდენტის სახელით ქეთი მელუას ღირსების ორდენი გადასცა.

ქართველი მომღერალი ღირსების ორდენით საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა. ვულოცავთ!

ხელოვნურმა ინტელექტმა სიმღერის დაწერა შეძლო



კანადაში ტორონტოს უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ხელოვნური ინტელექტით საახალწლო სიმღერის დაწერა შეძლეს. როგორც თურქული ტელეარხი ეკე იტყობინება, სიმღერის შესაქმნელად სპეციალისტმა ინჟინრებმა „განმეორებადი უჯრედის ქსელის“ სახელით ცნობილ ინტელექტს 100 საათზე მეტი პოპ სიმღერები ჩაუტვირთეს.

ხელოვნურ ინტელექტს იმისათვის, რომ მისთვის მუზა შეექმნათ, გარშემო საჩუქრებით მორთული ნაძვის ხე დაუდგეს.

სიტყვის თავში მოხვედრით რიტმი იქნა შერჩეული და ხელოვნურმა ინტელექტმა ბუნებრივი პაუზებით სიმღერის შესრულება შეძლო.

საბოლოოდ შინაარსიანი წინადადებებიანი სიმღერა იქნა მიღებული.

სიმღერაში შევიდა წინადადებები „საახალწლო ნაძვის ხე ყვავილებით მოირთო“ და „მსოფლიოში ყველაზე ლამაზი საახალწლო საჩუქარი ლოცვაა“, თუმცა შიგადაშიგ უშინაარსო წინადადებებიც შევიდა.

სანტა-კლაუსს უთვალთვალებენ

ჩრდილოეთ ამერიკის საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სარდლობა შობის ღამეს სანტა კლაუსის სათვალთვალოდ ემზადება. სარდლობის მოვალეობაში საჰაერო სივრცის კონტროლი შედის, თუმცა სპეციალურად ბავშვებისთვის, ყოველ შობას ისინი მაღალი ტექნოლოგიების, რადარებისა და სატელიტური სისტემების საშუალებით სანტას მსოფლიოს გარშემო გადაადგილებას ადევნებენ თვალს. შობის მომდევნო დღეებში კი პატარების შეკითხვებს პასუხობენ. მსგავს აქციას სარდლობა ყოველწლიურად ატარებს. ამ ტრადიციას 1955 წელს ჩაეყარა საფუძველი.

„გრიპგამძლე“ ხალხი

დაბადების წელს, თურმე, ორგანიზმის გრიპისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარისთვის ჰქონია მნიშვნელობა.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ორგანიზმს მუდმივი იმუნიტეტის გამომუშავება უფრო მეტად ვირუსების იმ ჯგუფისადმი შეუძლია, რომლებთან შეხება პირველად ბავშვობაში ჰქონდა.

წლეულს მედიკოსები ასეთებად 1968 წლამდე დაბადებულებს ასახელებენ, რადგან მათ ჯერ კიდევ ბავშვობისას მოიხადეს გრიპის ის შტამები, რომლებიც წლეულს ცირკულირებენ.

მომავალი მამების საყურადღებოდ!

თამბაქოს მწეველი მამების შვილები, თურმე, ასთმით უფრო ხშირად ავადდებიან.

აღმოჩნდა, რომ ავადმყოფობის შეყრის რისკი ჭარბად იმ ბავშვებსაც კი აქვთ, ვინც ეს მავნე ჩვევა მათ დაბადებამდე დიდი ხნით ადრე მოიშორა თავიდან.

თამბაქოს ყოფილ მწეველებს ასთმით დაავადებული ბავშვები, იმათთან შედარებით, ვინც სიგარეტს საერთოდ არასდროს ეწეოდა, სამჯერ უფრო ხშირად უჩნდებათ.

ვარაუდობენ, რომ თამბაქოს მოწევა მამაკაცის სპერმაში შეუქცევად ცვლილებათა მექანიზმს რთავს.

ყალბი... კვერცხები, ხაჭო

ცოტა ხნის წინათ ინტერნეტში გამოჩნდა ჩინური წარმოების... ყალბი ქათმის კვერცხები. (?!).

თურმე, კვერცხის გაყალბებაც ყოფილა შესაძლებელი. კვერცხის გული და ცილა – ესაა ჩვეულებრივი ჟელატინი, ოღონდ კვერცხის გულს ყალბისმქმნელები კიდევ უცნობი წარმომავლობის საღებავით ღებავენ. კვერცხის ნაჭუჭი კი კარბონატის კალციუმის, პარაფინისა და თაბაშირის ნაზავს წარმოადგენს. წარმოება იაფია, შენახვის ვადა კი, პრაქტიკულად, განუსაზღვრელი. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ყალბი კვერცხების ნაღდებისგან გარჩევა ადვილიცაა, რადგან ისინი მრგვალი ფორმისა არიან და არა ბუნებრივივით ოვალური, ნაჭუჭი კი უფრო მბზინავი და ადვილად მსხვრევადი.

გარდა ამისა, ჩვეულებრივი უმი კვერცხი, თუკი მას მაგიდაზე დავაბზრიალებთ, ნელა ბრუნავს, ჩინური ფალსიფიკატი კი მაგრად მოხარშულივით ბზრიალებს. ამასთან, ასეთ კვერცხს არა მარტო არანაირი კვებითი სარგებელი არა აქვს, მას ჯანმრთელობისთვის ზიანის მოტანაც კი შეუძლია, ვინაიდან ჯერჯერობით უცნობია, თუ რა საღებავით ღებავენ ჩინელი ყალბისმქმნელები ჟელატინს.

თუმცა, როგორც ჩანს, ეს სულაც არ არის საკვების გაყალბების ბიზნესში „ბოლო სიტყვა“ – რუსეთში ამჟამად ასევე ყალბი... ხაჭო გამოჩნდა, რომელიც ასევე სრულ ფალსიფიკატს წარმოადგენს. ცხიმოვან ფაზას პალმის ზეთით აყალბებენ, ცილას – სახამებლით, ფქვილით სოიოთი და ა.შ. თან უბედურება ისაა, რომ მომხმარებელს სიყალბის გამოსავლენად არცთუ ბევრი შესაძლებლობა აქვს. შეიძლება, ხაჭოზე იოდის დაწვეთება – თუკი ის გალურჯდა, მაშასადამე, სახამებელი ურევია. სხვა მინარევთა დასადგენად კი საჭიროა ლაბორატორიული კვლევების ჩატარება. ექსპერტები ასევე ეტიკეტების გულდასმით წაკითხვის რჩევას იძლევიან, სადაც უნდა ეწეროს „ხაჭო“ და არა „ხაჭოსებრი პროდუქტი“.

მსახურის სეხნიის პარიზული დიდება

მასკულტურის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი, რომლითაც მსოფლიოში რუსეთს იცნობენ, საქვეყნოდ ცნობილი თოჯინა „მატრიოშკაა“.

1900 წელს რუსი მეწარმისა და მეცენატის სავა მამონტოვის მეუღლემ ელისაბედმა მატრიოშკების საცდელი პარტია პარიზის გამოფენაზე წაიღო. იქ ერთმანეთში ზომების მიხედვით ჩაწყობილ თოჯინებს არნახული წარმატება ხვდა წილად და მატრიოშკას პოპულარობაც სწორედ იქიდან იღებს სათავეს.

თოჯინას სახელი ვინმე მატრონას – ლოყებღაჟღაჟა მოსამსახურის გამო მისცეს, რომელიც მამონტოვების მამულ აბრამცევოში, ჩვეულებრივ, ჩაის აწყობდა – და იმ თოჯინის წყალობით ისტორიაში შევიდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7831; ევრო - 2.8902;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4405;
100 რუბლი - 4.5127; თურქული ლირა - 0.7941;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5302;
1000 სომხური დრამი - 5.7897.

ამინდი 22 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-8	დღე	+7
მთიანი რაიონები -	ღამე	-19	დღე	0
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-14	დღე	+4
თბილისი:	ღამე	-6	დღე	+5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE